# სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N33 (9284) 30 ნოემბერი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი


# როდის გაიმარჯვა, ან გაიმარჯვებს ქართველი ხალხი

## თქვენ ცდილობთ ნაკლოვანი მხრიდან წარმოაჩინოთ მოვლენები

3

## ოლიგარქის აშენებული ქვეყნის მე არ მჯერა

## ფაიტონს ერიდე, ფაიტონს, ეშმაკის მოგონილია...

*წაბოლი(თ), ენითად ვიარეთ...*

2

2

## საარჩევნო დღის რეპორტაჟი ხმების დათვლამდე

## "აქილევსის ქუსლის" მოწესრიგება გაზეთის სწორად გამოყენების კულტურასთან თანხვედრაში

6

## "ნოემბერი, სტიქონები, 21-ე საუკუნის მუზები..."

5

## წვიმასა და ქარს შეტოვებული ისტორიის ფურცელი კოლმეურნეობა ინდუსტრიის შენებლობაში ერთვება

4

## ეს მიწის ძახილია

## ჩოხოსნობა ქვეყნის ფარსულთან კავშირია

4

## გიორგი მელია მსოფლიო პრიზიორია!

# საარჩევნო დღის რეპორტაჟი ხმების დათვლამდე

ნათია ნაცვლიშვილი

საარჩევნო შემოვლა ტრადიციულად დავიწყეთ. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმა ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილსა და გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს შორის გამარჯვებული უნდა გამოავლინოს. საარჩევნო უბნებთან ამომრჩევლის თვალშისაცემი სიმრავლეა. აქტივობა მაღალია! ჟურნალისტურ შემოვლას მესამე საარჩევნო უბნით ვიწყებთ. 1120 ამომრჩევლიან უბანზე 11 საათისთვის 120 ამომრჩეველს აქვს უკვე არჩევანი გაკეთებული! ნაკადის მომწესრიგებელს მომსვლელთა შეყოვნება უწევს, რადგან ხალხის სიჭარბეა. კომისიის თავმჯდომარის, ვენერა ივანიშვილის, თქმით, აბსოლუტურად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს ხმის მიცემა. ანალოგიური სიმშვიდე და ხალხმრავლობა იყო მე-12 უბანზე (კომისიის თავმჯდომარე ხათუნა ფაილაძე). უბნის 861 ამომრჩევლიდან 142-ს უკვე ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. დაბა კულაშში, მე-20 საარჩევნო უბანზე, კომისიის თავმჯდომარე ეკა სანაძის თქმით, 11 საათსა და 30 წუთზე 660-დან 156-ს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. 22-ე საარჩევნო უბანზე სოფელ ეწერში გააკეთა არჩევანი მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ციცინო ვერულეიშვილის, თქმით, 1099 ამომრჩევლიან უბანზე 12 საათისათვის არჩევანი გაკეთებული ჰქონდა 211 ადამიანს. ამ უბანზე "სამტრედიის მაცნეს" მერის წარმომადგენელმა ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში, რევაზ ივანიაძემ განუცხადა: " ძალიან დადებითი განწყობით მოვედი, ხმა საქართველოს ბედნიერ მომავალს მივეცი, ხედავთ, როგორი სიმშვიდეა, ჩვენთან არასდროს შექმნია პრობლემა არჩევნების მშვიდად ჩატარებას."

ნაკადის მომწესრიგებელი რიგის დაცვით უშვებდა საარჩევნო უბანზე ხალხს დიდი ჯიხაიშის 25-ე უბანზე( კომისიის თავმჯდომარე ეკატერინე შუბითიძე). აქ 1266 ამომრჩევლიდან 1-ლ საათზე 350 მოქალაქეს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. სოფელ იანეთში 23-ე საარჩევნო უბანზე მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა ხმის მიცემა. უბნის 952 ამომრჩევლიდან უკვე 272-ს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. მერვე საარჩევნო უბანზე (კომისიის თავმჯდომარე მაია გაბედავა) 1324 ამომრჩეველია. 6 საათზე 585 ამომრჩეველს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. მეცხრე საარჩევნო უბანზე (კომისიის თავმჯდომარე შორენა შაორშაძე) 2 საათზე 350 ამომრჩეველს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. ამ უბნის მიმდებარედ, ვისარგებლეთ საკრებულოს წევრის, ზაზა ადეიშვილის ნახვით და კომენტარი ვთხოვეთ: " არჩევანი გავაკეთე მშვიდობისაკენ, განვითარებისაკენ, სტაბილურობისაკენ! საკუთარ მოსახლეობაზე მეტი მზრუნველობისათვის და ხალხისკენ მობრუნების არჩევანი გავაკეთე. "ამავე უბანზე მისცა ხმა პროფესორმა მიხეილ ამაღლობელმა, რომელიც ახლახან ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა. ჩვენს კითხვაზე, რას მიეცით, მან გვიპასუხა: "არ მინდა დემაგოგიური ფრაზები მოგახსენოთ, გავაკეთე ის არჩევანი, რომელსაც ბოლო ექვსი წელია ვაკეთებ საქართველოს ხვალინდელი დღისათვის, პრინციპული არჩევანი გავაკეთე, ის, რაც ჩვენს სამშობლოს და მომავალ თაობას წაადგება უამრავი მიმართულებით. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის დიდი ღვაწლი, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გასწია, ვგულისხმობ თსუ-ს 1-ლი კორპუსის ევროპული სტანდარტებით აღჭურვას. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს ჩვენი სტუდენტების განათლების პროცესს".

საჯავახოს თემის 34-ე საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის საერთო რაოდენობა 852-ია, 2 საათსა და 40 წუთზე არჩევანი 400 ამომრჩეველს ჰქონდა გაკეთებული. გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის, მხარდამჭერმა, სამტრედიის "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის წევრმა დათო ნიკოლეიშვილმა "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა: "რა არჩევანი გავაკეთე? ხმა მივეცი საქართველოს განახლებულ მომავალს, "ნაცმოძრაობა" განახლებული შემადგენლობით ახალი სახეებით მოდის. პირველი ტური ამ უბანზე ასი ხმით მოვიგეთ, ახლა უპრეცენდენტო მობილიზაციაა სახელმწიფო რესურსის. მსგავსი არჩევნები ნაცებსაც კი გვიკვირს. კონკრეტულად გეტყვით: მიდის ამომრჩევლის მოსყიდვა ფულით, დაშინება! კამპანიის სახე მიიღო ე. წ. მითითებამ: "გადაიღე, შემოხაზე, გამოიტანე".

# "ახალი გზა" მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში

ნინო ნანიტაშვილი

1-ლი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ყოველი წლის 1-ლ დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით აივ ინფექცია შიდსზე და C ჰეპატიტზე უფასო გამოკვლევები ტარდება.

სამტრედიის "ახალი გზის" ცენტრმა 26 ნოემბერს მობილური ამბულატორიის საშუალებით აქცია გამართა და მთელი დღის განმავლობაში, დაახლოებით, 50-მდე მოქალაქეს საშუალება მისცა, უფასო გამოკვლევა ჩაეტარებინა.

მართალია, ინტერესი დიდი ჰქონდა, მსგავსი გამოკვლევა არასდროს ჩაუტარებია, რასაც ნინო ალფაიძე ერთადერთი მიზეზით ხსნის. ამბობს: რატომ, მაგრამ მაინც ეშინოდა, პასუხი დადებითი არ მიეღო. ამჯერად კი ცნობისმოყვარეობას ვერ გაუძლო და როცა სამტრედიის ქალაქის ცენტრში დედის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე მობილური ლაბორატორიის ჯგუფი შენიშნა, მყისიერად მიიღო გადაწყვეტილება, გამოკვლევა ჩაეტარებინა. ბოლოს დამშვიდებულმა ქალბატონმა არც "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარზე გვითხრა უარი: "სხვა დროს არ მქონდა C ჰეპატიტზე გამოკვლევა ჩატარებული. მაინტერესებდა, მაგრამ ვერ ვბედავდი. დღეს გავიკეთე უფასო გამოკვლევა, რისთვისაც "ახალი გზის" სამტრედიის ცენტრს მადლობას ვუხდი. მნიშვნელოვანია, ყველამ ჩაიტაროს მსგავსი გამოკვლევა, რადგან ჩვენ ოჯახებში გვყვანან შვილები, შვილიშვილები. ამდენად, უფროსების ჯანმრთელობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება".

# ფაიტონს ერიდე, ფაიტონს, ეშმაკის მოგონილია...

## ნაბოდი(თ), ერთად ვიაროთ...

ქალაქი შემოვიაროთ და თუ ჩვენი ნათქვამი გადამეტებული, ან დრამატიზებული გამოდგა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო გაზეთითვე.

რაშია საქმე?

ქალაქის ცენტრალური ქუჩების: (რუსთაველის, ჭავჭავაძის) აქტიურ ნაწილში, ანუ იმ მონაკვეთში, რომლებიც შუა ქალაქში გადის, ფეხით გავლა, განსაკუთრებით პიკის საათებში შეუძლებელია.

მიზეზი?

ქუჩებში მასობრივადაა განლაგებული სხვადასხვა მარკის მსუბუქი ავტომანქანები წარწერით "იყიდება". ამავე მონაკვეთში მოძრაობს საქალაქთაშორისო და შიდა საქალაქო, კერძო პირთა მფლობელობაში არსებული ტრანსპორტი, ასევე ხალხი, ფეხით მოსიარულენი.

კაფე-ბარებთან, რესტორნებთან სადღესასწაულო სამგლოვიარო, ბაზრობის დღეებში ამ ქუჩებში ფეხით გავლა თუ სიცოცხლისთვის არა, ჯანმრთელობისათვის ნამდვილად რომ საშიშია.

ასე რომ, ნუ შეგვიზღუდავთ ქალაქში გადაადგილების უფლებას, ნურც თავად ჩაიგდებთ საფრთხეში თავს და ნურც ჩვენ შეგვიქმნით საფრთხეს.

დრო მიდის, ცივილიზაცია სახეზეა.

იყო დრო, ფაეტონს უფრთხოდა ხალხი, ამჟამად კი, გაზაფხულის ჭრელაჭრელა ყვავილებივით მომრავლებული მანქანები ქმნიან საფრთხეს.

საქმიან (შედეგიან) წინადადებებს ველით სიმწრის ღიმილით ნაწერ ჩვენს ამ რჩევაზე და არა რეპლიკაზე.

ლევან გაბაჩავა

# როდის გაიმარჯვა, ან გაიმარჯვებს ქართველი ხალხი

თეა გაბუნაშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. სამტრედიაში 54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის 50-ვე უბანზე სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა. ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს მოსული ამომრჩევლის ხმების 61.48%, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს 38.52% ერგო. როგორც 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა იმნაძე აცხადებს, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურისგან განსხვავებით მეორე ტურში 6 ათასი ამომრჩევლით მეტი მოვიდა. ქვეყნის მასშტაბით კი წინასწარი მონაცემებით სალომე ზურაბიშვილის აღებულ ხმათა პროცენტული რაოდენობა 59.52, ხოლო გრიგოლ ვაშაძისა 40.48 პროცენტია.

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტია!

ქვეყნის საპრეზიდენტო ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტის, და საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში მეორე ტურის დანიშვნის პირველი შემთხვევის შემდეგ, სხვებისგან განსხვავებით, თავის შეკავება უფრო სწორი იქნებოდა ქალი პრეზიდენტის მეფე თამართან შედარებისგან. მხოლოდ მსგავსი ფაქტია, რომ საქართველოს საუკუნეების შემდეგ ქალი მთავარსარდალი ეყოლება. თითქმის ყველა ჩამორთმეული უფლების ფონზე, რაც ქვეყნის პრეზიდენტს ოდესმე ჰქონია, ეს პოსტი ხმაურიოა და განსაკუთრებული ძალისხმევით მოსაპოვებელი მაინც აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, ეს უფრო დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ბრძოლა გახლდათ, ერთისთვის ხელიდან გაშვებული ხელისუფლების კვლავ ხელში ჩასაგდებად, მეორესთვის კი უკვე ხელში ჩაგდებულის ხელიდან არგასაშვებად.

პირველი ტურიდან მეორემდე განვითარებული მოვლენების შეხსენება არც სჭირდება და ესიამოვნება პოლიტიკით გადაღლილ მკითხველს. რაც იყო, ჯერ ისევ გუშინ იყო და ისეთი პირი უჩანს, ხვალ-ზეგაც გაგრძელდება. რომელ ტურში გააკეთა საზოგადოებამ სწორი არჩევანი და თქვა სიმართლე, ხელისუფლება და ოპოზიცია სათავისოდ განიხილავს. მთავარი კი იმის გარკვევაა, როდის გაიმარჯვა ან გაიმარჯვებს ქართველი ხალხი!

სალომე ზურაბიშვილმა 28 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. მისი უფლებამოსილება 6 წლით განისაზღვრება და იგი ბოლო არჩეული პრეზიდენტი იქნება ქვეყნის ისტორიაში. რამდენად უუფლებო და რამდენად უფლებამოსილი, უფრო ზუსტად, რაში უუფლებო და რაში უფლებამოსილი, ქვეყნის კონსტიტუციამ უკვე განსაზღვრა.

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! თუმცა, ხელისუფლება არჩევნების სრული გამჭვირვალობითა და დემოკრატიულობით ჩატარებაში დარწმუნებულია, მეტიც, ამას განსაკუთრებულ ღირსებად უთვლის საკუთარ თავს. იქნება თუ არა ხელსაყრელი უმძიმესი სოციალური ფონის მქონე ქვეყანისთვის ორწლიანი საარჩევნო შუალედი, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი დრო გვიჩვენებს კიდევ ერთი დაპირებით, ერთ წელიწადში ქვეყანა რომ მართლა საოცნებო გახდება. იმ 6 წელზე, აქამდე რომ იყო, გაწნილ სილად არჩევნების პირველი ტური მივიღეთო, არ უარყოფს უმრავლესობა.

დაპირებებს მიჩვეულ საზოგადოებას ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს უკიჟინებს. წინასწარი პროგნოზის გაკეთება ჩვენი პროფესიონალიზმი არაა, ამჯერად მხოლოდ სახელისუფლებო პარტიისა და მთავარი ოპოზიციური ძალის პირველ პირებთან მუნიციპალიტეტში, ვალერიანე ფოცხვერიასა და ემზარ შუბლაძესთან გავისაუბრეთ ნაარჩევნებს და მათ მოსაზრებებს უცვლელად გთავაზობთ.

# თქვენ ცდილობთ, ნაკლოვანი მხრიდან წარმოაჩინოთ მოვლენები

**_ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, ელოდით იმ შედეგს, რაc მეორე ტურში დაიდო?**

_ ნამდვილად ველოდი იმ შედეგს, რაც დაფიქსირდა. ეს გახლდათ არჩევნების მეორე ტური, და სხვათა შორის, პირველი შემთხვევა ქართული საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში, მეორე ტური რომ გახდა საჭირო. საზოგადოებას ემახსოვრება არჩევნები, როცა სააკაშვილს გაჩეჩილაძე უპირისპირდებოდა პრეზიდენტის პოსტზე. მაშინაც მეორე ტური უნდა დანიშნულიყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, არ

დაინიშნა. მაშინდელ და დღევანდელ დემოკრატიას შორის დიდი სხვაობაა, ამ კუთხით ქვეყანა მნიშვნელოვნად წინაა წასული.

**_ ერთმა ჭკვიანმა, ერუდირებულმა სამტრედიელმა, რომელიც დიდი ხანია მოჰყვება პოლიტიკას, სხვათა შორის, დღეს უმრავლესობის წევრი და საკრებულოს დეპუტატია, არჩევნების დღეს ჟურნალისტებს გვითხრა, რომ პირველ ტურში ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. რას ფიქრობთ, ეთანხმებით ამ შეხედულებას?**

_ მე არ ვიცი, რას გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი, მაგრამ დიახ, პირველ ტურშიც დაფიქსირა. საქმე იმაშია, რომ პირველ ტურში ბევრი კანდიდატურა იყო და ხმები სხვანაირად გადანაწილდა, მეორე ტურში კი უფრო მობილიზება მოხდა ამ ხმებისა სახელისუფლებო კანდიდატზე...

**_ მაგრამ პირველივე ტურშიც ძირითადი აქცენტი ამ ორ კანდიდატზეც გახლდათ გაკეთებული, უმნიშვნელო რაოდენობა იყო?**

_ ...დიახ, დიახ, ერთი გახლდათ სახელისუფლებო კანდიდატი თავისი ღირსებებით, მეორე კი ოპოზიციური, რომელსაც სერიოზული ბერკეტი ჰქონდა მასმედიაში, განსაკუთრებით "რუსთავი 2"-ზე. ეს გახლავთ პროპაგანდისტული მანქანა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია არჩევნების პირველი ტურის შედეგებზე...

**_ და ის შედეგი მხოლოდ "რუსთავი 2"-მა დადო? ხელისუფლება თავად აღიარებს კიდეც, რომ მნიშვნელოვანწილად ვერ გაამართლეს 2012 წელს ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობა. მწვავედ არც გაუპროტესტებიათ, "უნიათოებად" რომ მონათლა საზოგადოების დიდმა ნაწილმა. მიიღო პირველი ტურის შედეგები ხელისუფლებამ გამაფრთხილებელ მესიჯად და შემდეგ განვითარდა ის მოვლენები, რაც განვითარდა.**

_ ასეთი ძლიერი ხელისუფლება საქართველოს ჯერ არ ჰყოლია! ეს დემოკრატიულად მართვის პრინციპშიც გამოიხატება. დემოკრატიულად მართვა არის ძალიან რთული. ადვილია ის, რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა. მაპატიეთ ჟარგონისთვის _ "პალაჟენიის" დამყარება ჯიბეში ნარკოტიკის ჩადებით, ხალხის ცხოვრებში შეყრით, მათ ზურგზე ბიუჯეტის შევსებით და მერე ისევ ხალხისგან ამოღებული ფულით პენსიების დარიგებით. ეს არის ნიათიანობა და უნიათობაა დღევანდელი ხელისუფლების ლოიალურობა? გაიხსენეთ აჭარის ამბები, მანქანის დაწვის ფაქტი, გამოსვლები... ეს რომ წინა ხელისუფლების დროს მომხდარიყო, იქნებოდა ხელკეტების ფრიალი, მხუთავი გაზები, დაჭერები. ამგვარ მოქმედებას ოპოზიციას მაშინდელი ხელისუფლება არ აპატიებდა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში "შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეს" ძახილით გავდივართ ფონს. ეს უპირველესად ქვეყანაში დემოკრატიის მაღალი მაჩვენებლით არის განპირობებული.

**_ არჩევნების მეორე ტურისთვის ე. წ. "შავი სამყაროს" გააქტიურებას უარყოფთ? საარჩევნო უბნებზე მათი მობილიზებაც თვალშისაცემი იყო. დავიჯერო, მხოლოდ მე ან მათ ეჩვენებათ ეს, ვინც ამას აცხადებს?**

_ მე არ ვიცი, სად დაინახეთ თქვენ "შავი სამყაროს" მობილიზება. ქურდები საქართველოში არ არიან, საზღვარგარეთ არიან. ჩამოვლენ და მათი ადგილი ციხეშია. დამისახელეთ უბანი სამტრედიაში, სადაც ძალადობა იყო, კანონდარღვევა იყო. დაუსაბუთებელი ჭორებით რატომ საუბრობთ?

**_ მეც "რუსთავი 2" ვარ?**

_ არა, თქვენ ცდილობთ მეორე, ნაკლოვანი მხრიდან წარმოაჩინოთ მოვლენები. ასეთი რამ ამ არჩევნებზე არ მინახავს, მაგრამ იმ წლებში ჩემს თავზე გამომიცდია.

**_ "ნაციონალები" მოქმედებდნენ პრინციპით, ვინც ჩვენი მხარდამჭერი არ არის, ის ჩვენი მტერია. ახლაც ძალაშია ასეთი მიდგომა? აქ ჩვენს პერიოდულ გამოცემასაც ვგულისხმობ, ბუნებრივია, და არა მხოლოდ საკუთარ პერსონას.**

_ ამას ნამდვილად არ ვგულისხმობ! მიუხედავად იმისა, რომ თქვენს პერიოდულ გამოცემას ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, თქვენ გაქვთ თქვენი ნიშა და დიახ, მედია უნდა აფხიზლებდეს ხელისუფლებას, მიუთითებდეს ნაკლოვანებებზე. ხელისუფლებამაც თავის მხრივ უნდა გამოასწოროს ის, რაც გამოსასწორებელია. მე კმაყოფილი ვარ იმ კურსით, რაც თქვენს გამოცემას აქვს აღებული. ვფიქრობ, არავინ გავიწროვებთ.

**_ საქმიანი ურთიერთობების გაგრძელება როგორ გესახებათ ოპოზიციასთან?**

_ ჩვეულებრივ, საქმიანად. საჭირო პროექტებზე მუშაობისას ყველას აზრს ვითვალისწინებთ, ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება იგი, თუ უბრალო მოქალაქე.

# ოლიგარქის აშენებული ქვეყნის მე არ მჯერა

**_ ნაწილობრივ ვიცით გუშინდელი დღის თქვენეული შეფასება, მაგრამ მაინც, რა მოხდა გუშინ?**

_ ჩემი აზრი გუშინვე დავაფიქსირე, ეს არ იყო არჩევნები, ეს გახლდათ სპეცოპერაცია, სახელად არჩევნები. იყო დაშინებებისა და დაშანტაჟების უპრეცედენტო შემთხვევები. მობილიზება კარგია და თავის თავში არ გულისხმობს არაფერს ცუდს, მაგრამ მე ვამბობ, რომ მობილიზება იყო საშიში მიმართულებით. ფაქტებით შემიძლია ვისაუბრო, ჩემმა ერთ-ერთმა დამკვირვებელმა უბანი არჩევნების დღეს მიატოვა იმიტომ, რომ მას ოჯახის განადგურებით ემუქრებოდნენ. საარჩევნო უბანზე მყოფი სახელისუფლებო პარტიის ლიდერი იმ წუთშივე ჩავაყენე საქმის კურსში. ზეწოლა იყო ჩვენი პარტიის წევრის, საკრებულოს დეპუტატის ოჯახზე. და კიდევ ბევრი ასეთი ფაქტის დასახელება შემიძლია. მათ, ვინც ფულით ვერ მოისყიდეს, აშანტაჟებდნენ და აშინებდნენ.

**_ გუშინ თქვენი პარტიის ერთ-ერთმა წევრმა და საკრებულოს დეპუტატმა საუბარში თქვა, "ნაციონალებიც" რომ გაგვაკვირვეს, ისეთი გაყალბება იყოო. დამეთანხმებით, ეს, ფაქტობრივად, აღიარება გახლავთ იმისა, რასაც "ნაციონალები" ყოველთვის უარყოფთ.**

_ არ უარვყოფ, ვერ ვიტყვი, რომ არ იყო ნეგატიური მაგალითები. იმას რასაც ახლა "სუს"-ი აკეთებს, ჩვენს დროს, ალბათ აკეთებდა "კუდ"-ი, მაგრამ ეს ჩვენთვის ხილული არ გახლდათ, ხელი არ მიგვიწვდებოდა ამ მექანიზმებზე. ვერავინ იტყვის, რომ წინასაარჩევნოდ კრიმინალურ ავტორიტეტებთან ერთად მევლოს ერთი მანქანით. ჩვენ ხალხს ვხვდებოდით, ახლა კი პოლიციელები და კრიმინალები ერთად დადიოდნენ ეგრეთ წოდებულ შეხვედრებზე, გვერდიგვერდ იდგნენ.

**_ ამომრჩეველმა იმ გადაცდომების, სისასტიკისა და სისხლიანი ლაქას გამო არ მისცა ხმა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერს, რაც "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მოჰყვება მმართველობის 9 წლიანი რეჟიმის შემდეგ. რადგან გაერთიანებულ ოპოზიციაში "ნაციონალები" დომინირებდნენ, მხოლოდ მათ კანდიდატად აღიქმებოდა ამ პარტიის წევრი საპრეზიდენტო კანდიდატი. არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი და ის ადამიანები, ვის სახელთანაც ეს სისხლიანი სასასტიკე ასოცირდებოდა, რომ ჩამოგეშორებიათ სხვა შედეგს მიიღებდით?**

_ იმ 900 ათასი ხმიდან, გაერთიანებულ ოპოზიციას რომ მისცა ამომრჩეველმა, უმრავლესობა იმიტომ ავიღეთ, რომ საზოგადოებას ახსოვს სააკაშვილის დროული და ეფექტური რეფორმები და მათი შედეგები. მიშა არის ლიდერი, რომელსაც შეუძლია ძალიან მალე შეცვალოს სიტუაცია ქვეყანაში. იმიტომ ეშინია მისი ოლიგარქ ივანიშვილს. ოლიგარქის აშენებული ქვეყნის მე არ მჯერა. დახმარებით შეიძლება დაეხმაროს ადამიანს, კი ბატონო, მაგრამ ოლიგარქები ქვეყანას ნაკლებად აშენებენ!

დიახ, იყო გადაცდომები, მაგრამ კრიმინალთან შეურიგებელი ბრძოლა უდავოდ საჭირო იყო და არის. მე არ ვთვლი, რომ ვაზაგაშვილის ძეგლი უნდა დაიდგეს ორთაჭალაში იუსტიციის სახლთან. ვაზაგაშვილი გახლდათ კრიმინალი, ბარიგა, "იურა ოსის" სახელით ცნობილი. კრიმინალი იყო მისი შვილიც. რაც შეეხება გირგვლიანის საქმეს, არ უნდა განვითარებულიყო ის მოვლენები, რაც შემდგომ განვითარდა, თორემ სუფრასთან ადამიანს შეურაცხყოფას რომ მიაყენებ, სიტუაციის გარკვევა ჩვეულებრივი ადამიანური და მამაკაცური საქმეა. რაც ამის შემდეგ მოხდა, დიახ, არ უნდა მომხდარიყო! შეცდომა იყო ბუტა რობაქიძის საქმე. მაგრამ ის ადამიანები, ვინც ასეთი შეცდომები დაუშვეს, იხდიან კიდეც სასჯელს.

**_ მაშინ, ხელისუფლებას რომ წარმოადგენდით, რატომ არ იმაღლებდით ხმას ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ?**

_ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ასეთი უსამართლობების. არ ვიტყვი ვისზეა საუბარი, მაგრამ თავის დროზე გავაპროტესტე ერთ-ერთი პედაგოგის უკანონოდ გათავისუფლება სამსახურიდან განსხვავებული შეხედულებების გამო. ვინც ის გაათავისუფლა, დღეს "სუს"-ის მაღალჩინოსანია. იქნებ, საზოგადოების ფართო მასებისთვის არ იყო ცნობილი, მაგრამ მსგავსი პროტესტი მსგავს საკითხებზე ყოველთვის მქონდა. 2012 წლის შემდეგ ორი წელი გახლდით საკრებულოს თავმჯდომარე, მაგრამ ერთ ადამიანს ვერ ნახავთ სამსახურიდან რომ გამეთავისუფლებიოს, მით უმეტეს, ვიცოდი, ვინ აძლევდა ჩემს პოლიტიკურ ძალას ხმას და ვინ არა...

**_ როგორ ხედებით ამას, რამე განსაკუთრებული ტექნოლოგიები არსებობს ამის გამოსაცნობად?**

_ ამდენი ხანია პოლიტიკაში რომ ხარ, ხედები, რაღაც ინტუიციაა, სახეზე აწერია ყველას, ვინ ვისი მხარდამჭერია.

**_ თქვენმა ლიდერმა სააკაშვილმა დაუმორჩილებლობისკენ მოგიწოდათ. რას აპირებთ?**

_ შევარდნაძის პრეზიდენტობა ვაღიარე, მაგრამ არასდროს, არასდროს ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას არ ვაღიარებ! მეტიც, ვთვლი, რომ იგი ივანიშვილზე დიდი საფრთხეა ქვეყნისთვის. რაც შეეხება დაუმორჩილებლობას, სააკაშვილმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. ჩვენ დღეს გაერთიანებული ოპოზიციის სახელით გამოვდივართ და გაერთიანებული ოპოზიცია იმსჯელებს, როგორ განვითარდება მოვლენები სამომავლოდ. ერთი კი ვიცი, ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს არჩევნების მეორე ტურის ასე ჩატარებისთვის!

# ჩოხოსნობა ქვეყნის წარსულთან კავშირია

ნინო ნანიტაშვილი

***საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშო ერთი წლისაა. შარშან ნოემბერში დაფუძნდა და თავდაპირველად მასში 10 ჩოხოსანი გაწევრიანდა: ძალხაზ იანტბელიძე, გიგა გელოვანი, კობა ძიძიგური, ჯონი ნადირაძე, გიორგი ბარათაშვილი, დავით კეკაჩეიშვილი, ლევან ახობაძე, გივი ფრანგიშვილი, თემურ იანტბელიძე, ზაზა კაჭახიძე, ქეთევან ჭელიძე, დავით იობაძე, დავით ჩხეკვაძე, კახაბერ კიზივაძე, მიხეილ რუსაძე, ავთანდილ კოხრეიძე, დავით მელქაძე, ანსამბლი "იმედი" (ხელმძღვანელი ზვიად ვაშაკიძე).***

საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშოს მეთაური, მალხაზ იანტბელიძე, სადროშოს დაარსების დღეს იხსენებს და ერთი წლის თაკვზე მათი საქმიანობის შეფასებას აკეთებს: "2017 წლის 3 ნოემბერი ჩვენი სადროშოს დაარსების დღეა. თავიდანვე ბევრმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი ჩვენთან გაწევრიანების, იდეა ქართული ჩოხის სულის და ტრადიციასთან კავშირისა უპირობოდ ყველასთვის მიმზიდველია. დღეის მდგომარეობით სადროშოში ოფიციალურად გაწევრიანებულია 15 წევრი და ერთი ქორეოგრაფიული ანსამბლი "იმედი" (ხელმძღვანელი ზვიად ვაშაკიძე). გვიხარია, რომ ჩვენი თამჯდომარე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორეა, რომლის ლოცვა-კურთხევით, წმინდა სინოდზე დამტკიცებული წესდებით და ფიცით ვხელმძღვანელობთ. ვცდილობთ, სამტრედიის რეალობაში, უპირველეს ყოვლისა, მომავალ თაობას დავანახოთ, თუ რა დიდი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების მქონე ერის შვილები არიან. ჩოხაში ჩანს ქართველი კაცის მებრძოლი, უდრეკი სული, რომლითაც ასე ამაყობს ჩვენი ერი და ყველა ჩვენგანი.

2019 წლის 8 თებერვალს დავით აღმაშენებლის სახელობის გელათის საკათედრო ტაძარში წმინდა დავით აღმაშენებლის საფლავთან ფიცს დადებენ სამტრედიის სადროშოს ახლად მიღებული წევრები და მუხლმოდრეკილნი შეავედრებენ უფალს ჩვენი სადროშოს მშვიდობას, კეთილდღეობას და ერთიანობას. ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი".

წელს ჩოხოსანთა სადროშოს ერთი ქალბატონი შემემატა, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი, ქეთევან ჭელიძე, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს სამტრედიის ჩოხოსანთა შორის.

კობა ძიძიგური, სამტრედიის ჩოხოსანთა სადროშოს წევრი: "პირველი ქალბატონი შემოგვემატა, რითაც ძალიან დამშვენდა ჩვენი ჩოხოსანთა სადროშო. სამტრედიელებისათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი ქალბატონი, ქეთევან ჭელიძე, რომელიც თურმე წლებია, ოცნებობდა ჩოხოსანთა რიგებში მოხვედრას. ის თავისი ცხოვრების წესით ისედაც ასრულებდა ყველა ტრადიციულ მოთხოვნას, რასაც ქართული ჩოხოსანთა საზოგადოება მოითხოვს. ჩოხის ჩაცმის შემდეგ აღვნიშნეთ, რომ, მართალია, ფორმა მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ადამიანს, სიღრმისეულად დაიცვას ჩვენი ტრადიციული წესჩვეულებები. რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, ჩოხოსნებს გვეკავშირდებიან საპატრიარქოდან, ხელმძღვანელები ამა თუ იმ კონკრეტულ ღონისძიებებში მონაწილეობას გვთავაზობენ. ერთ-ერთი მათ შორის გამორჩეულია 8 თებერვალი, დავითობას გელათის სამონასტრო კომპლექსში მისვლა, დავით აღმაშენებლის საფლავთან მუხლის მოყრა და ფიცის დადება ახალი წევრებისათვის. ქალბატონ ქეთევანს ექნება პატივი, 2019 წლის 8 თებერვალს გელათში მეფეთ-მეფე დავითის საფლავთან მუხლი მოიყაროს და ქართული ადათ-წესებისა და ტრადიციების საფუძვლიანად შესრულებაზე ფიცი დადოს.

გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამტრედიაში რამდენიმე ადამიანს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩოხოსანთა საზოგადოებაში გაწევრიანდეს, რითაც უახლოეს მომავალში სამტრედიის სადროშოს რიგები გაიზრდება. საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების, სამტრედიის სადროშო ჩართულია სვეტიცხოველში დაწყებული უწყვეტი ლოცვის პროცესში, რომლის საფუძველზეც სამტრედიაში თვეში ერთხელ 24 საათის განმავლობაში იკითხება ლოცვები, ფსალმუნები ქვეყნის კეთილდღეობისა და გაძლიერებისათვის. სამტრედიის სადროშო რამდენიმე თვეა, აგრძელებს უწყვეტი ლოცვის მიმდინარეობას სამტრედიის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში.

გიგა გელოვანი, ჩოხოსანი: "ქართული ჩოხა მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ერთი წელია მაქვს ბედნიერება, მეცვას სამოსი, რომელსაც ჩემი წინაპრები ატარებდნენ. ჩემს წარმოდგენაში ჩოხოსანი სულითა და გულით პატრიოტია, ერთგვარი ღირსებისა და პატივისცემის გამოხატულებაა. მიხარია, რომ სამტრედიის სადროშო დღითიდღე იზრდება და ბევრია მსურველი, ჩვენს რიგებში გაერთიანდეს. მართალია, საპატრიარქოს ჩოხოსნები ვართ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იარაღსაც ავიღებთ ხელში ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად."

"სურვილი, ჩოხოსანი გავმხდარიყავი, დიდი ხანია მქონდა". _ "ასე იწყებს საუბარს პირველი ჩოხოსანი ქალბატონი, ქეთევან ჭელიძე და იქვე დასძენს: "მით უფრო, რომ ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარე ჩვენი პატრიარქია. თავისთავად, საზოგადოება ვიწრო პოლიტიკური მიზნებისგან შორს დგას და მისი კარი ყველასთვის ღიაა. იგი მხოლოდ ქვეყნის სიყვარულს, მისი ტრადიციების ერთგულებას ეფუძნება.

ჩემთვის ჩოხოსნობა ჩემი ქვეყნის წარსულთან კავშირშია, მის ზნე-ჩვეულებებთან თანაზიარობა. ატარო დღეს ეროვნული სამოსი, შენი ერის სულიერებისა და ფასეულობების ერთგვარი პროპაგანდაა.

მადლობა უფალს, სურვილი რეალობად მექცა!

მეამაყება, იმ ადამიანების გვერდით დგომის შესაძლებლობა რომ მომეცა, რომელთაც ჩვენი ქვეყნის, სამტრედიის უახლესი წარსული დაწერეს. ისინი ღირსეული ადამიანები არიან.

8 თებერვალს, გელათში, დავით აღმაშენებლის საფალავზე ფიცს დავდებ. მოუთმენლად ველოდები ამ დღეს!"

# ეს მიწის ძახილია

ქეთევან ჭელიძე

მარიანა შეინინას საქართველოს ეროვნული არქივის სამტრედიის წარმომადგენლობაში შევხვდით. იგი მეგობართან, კირა საქსაგანსკაიასთან ერთად თავის ბაბუაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩამოვიდა რუსეთიდან. ქალბატონი მარიანა წარმოშობით კულაშელი ებრაელის, იოსებ თეთრუაშვილის, შვილიშვილია. საქმეში ჩვენც ჩავერთეთ და შევეცადეთ, ის ადამიანები გვეპოვა, ვინც პირადად იცნობდა, ან რაიმე მაინც გაეგო იოსებ თეთრუაშვილსა და მის ოჯახზე. ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ, თუმცა, სასიამოვნო მოსასმენი იყო ქალბატონ კირასგან: "ძალიან ამაღელვებელია, ისეთი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინეს სამტრედიაში მარიანას მიმართ. მართალია, ჯერჯერობით მან ვერც ბაბუის საფლავი იპოვა და ვერც სრულყოფილი ცნობები მოიპოვა თავისი წინაპრების შესახებ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მას აქ უკვე დიდი ქართული ოჯახი ჰყავს".

მარიანა შეინინა
გიგანტი ბიბილეიშვილი
ალექსანდრე ბანძავა

საარქივო მასალების მიხედვით გაირკვა, რომ მოსე თეთრუაშვილს ორი ვაჟიდან ჰყოლია ერთ-ერთი მარიანას მამა იყო _ შალვა თეთრუაშვილი. როცა გასული საუკუნის 70-იან წლებში ებრაელები აღთქმულ ქვეყანაში, ისრაელში მასობრივად წავიდნენ, მოსე თეთრუაშვილს უარი უთქვამს იქ გამგზავრებაზე და კულაშში დარჩენილა. ამის გამო უკამათია კიდეც შვილებთან. ის ამჟამად კულაშში, ე. წ. ებრაელების სასაფლაოზე განისვენებს. კონკრეტულად სად, გაურკვეველია.

შალვა თეთრუაშვილი კი, მოსკოვში წავიდა, შემდეგ _ ისრაელში. მან მეორედ რუს ებრაელ ქალბატონზე იქორწინა, რომელთანაც ერთადერთი ქალიშვილი, მარიანა, შეეძინა. დედა-შვილსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ და პერიოდულად რუსეთსა და თელავივში ცხოვრობენ. მარიანა დედის გვარს ატარებს. ჰყავს მეუღლე და ორი ნახევარძმა. ის პროფესიით ჟურნალისტია, მარკეტინგის კურსს კითხულობს მოსკოვის სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში. საქართველოში ჩამოსვლის სურვილი დიდი ხანია ჰქონდა. მეგობრები ხშირად უყვებოდნენ მას ჩვენს ქვეყანაზე, მის არაჩვეულებრივ ბუნებაზე, ხალხზე. წელს, ოქტომბერში, პირველად ეწვია იგი საქართველოს, როგორც ტურისტი. ამჯერად კონკრეტული მიზნით ჩამოვიდა აქ. მათი მასპინძელი ბათუმელი მამუკა შერვაშიძე და მისი ოჯახია. სწორედ ბატონმა მამუკამ ჩამოიყვანა ისინი სამტრედიაში. ჩვენ კი თითოოროლაღა ადამიანი თუ ვიპოვეთ, ვინც შალვა თეთრუაშვილს იცნობდა.

ბატონი ბორის ფოცხვერაშვილის გაიგონა თავისი ყოფილი მეზობელი, როცა ისიც კულაშში ცხოვრობდა. ეს მწირი ინფორმაციები საკმარისი არ არის მარიანა შეინინასთვის. იგი კვლავ აპირებს საქართველოში დაბრუნებას, მით უფრო, ბაბუის საფლავი იპოვოს, მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

მარიანა ათეისტია. თუმცა, მამუკა შერვაშიძე გვარწმუნებს, რომ თავისი საუბრებით მცირეოდენი გავლენა მაინც მოახდინა მასზე. "როცა კულაშში სინაგოგის კარი გაგვიღეს, იგი გაოცებული დარჩა, ისეთი მოვლილი და დაცული ნახა იქაურობა. თქვა, თუ როგორ შეძლეს ქართველებმა მისი ასეთი სახით შენარჩუნება. ვუთხარი, რომ ეს ღმერთის სახლია და იგი ყოველთვის მფარველობს მასმეთქი." _ გვიყვება მამუკა.

კირა საქსაგანსკაია
მერაბ შერვაშიძე

ქართველები რომ ყველა კონფესიისადმი შემწყნარებლები ვართ და პატივს ვცემთ მას, შევეცადეთ, ამაშიც დაგვერწმუნებინა სტუმარი.

"სასწაულია, ეს ხალხი ისე უვლის და პატრონობს სინაგოგას, თითქოს ეს მათი პრობლემა იყოს". _ თავისი განწყობა ჩვენთან საუბარშიც დააფიქსირა მარიანამ.

მოიარეს და მოინახულეს გუდაური, მოიხიბლნენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, ბათუმის გარდა იმყოფებოდნენ ქუთაისში, თბილისში, გული დასწყდათ, რომ კიდევ ბევრი რამის ნახვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, მათ შორის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის.

ცნობილი პროდიუსერი კირა საქსაგანსკაია, მარიანასგან განსხვავებით, მხოლოდ მამითაა ებრაელი. იგი მართლმორწმუნე ქრისტიანია. წლების წინ საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდა თბილისში და დღემდე დაუვიწყარია იგი მისთვის. "აქ ყველაფერი შესანიშნავია, ხალხი, ბუნება, ჰაერი, გემრიელი კერძები, რომლებიც ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ხინკალი". _ გვითხრა მან.

ქალბატონი კირა კარგად იცნობს ქართულ კინემატოგრაფიას და ქართველ რეჟისორებს. იგონებს ცნობილ სცენარისტთან, ალექსანდრე მინდაძესთან თანამშრომლობას და მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც დღემდე გრძელდება. ნაცნობობა აკავშირებს რეჟისორებთან, ოთარ იოსელიანთან, ნანა ჯორჯაძესთან, სცენარისტსა და რეჟისორთან ირაკლი კვირიკაძესთან. მაღალ შეფასებას აძლევს რეჟისორ ბაკურ ბაკურაძეს. მან მისთვის საყვარელი ქართული ფილმებიც დაგვისახელა და საჩუქრად რუსული ისტორიული ფილმის, "მატილდას", კომპაქტ-დისკი გადმოგვცა, რომლის პროდიუსერიც თვითონ გახლავთ.

ორ სახელმწიფოს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე საუბარს თავი აარიდეს სტუმრებმა. "არავის შეუძლია, ქართველ და რუს ხალხებს ერთმანეთის სიყვარული დაუშალოს. ყოველთვის ასე იყო და ასეა დღესაც. თუნდაც, ის, რომ ყველა ქართული რესტორანი ყოველთვის ხალხითაა სავსე მოსკოვში, დამოკიდებულება ამაშიც ჩანს". _ აღნიშნავს ქალბატონი კირა. ისიც დასძინა, კომუნისტების დროს სკოლაში, მე-10 კლასში გაკვეთილზე "ვეფხისტყაოსანს" ჩვეულებრივ რომ კითხულობდნენ მოსწავლეები.

მარიანა შეინინა, როგორც დაგვპირდა, საქართველოში ისევ ჩამოვა. ეს, ალბათ, მიწის ძახილია, რაც, ადრე თუ გვიან, წარსულთან გაბრუნებს და გაკავშირებს.



# წვიმასა და ქარს შეტოვებული ისტორიის ფურცელი კოლმეურნეობა ინდუსტრიის მშენებლობაში ერთვება

**თეა ბაბუნაშვილი**

თამარ თავაძის კოლმეურნეობა დღემდე მოჰყვება სახელად შენობას, რომელიც უფროსი თაობის სამტრედიელების მეხსიერებაში რაიონის აღორძინებასა და წინსვლასთან ასოცირდება. მისი მოწინავეობის მთავარი შემოქმედი, შრომისა და დისციპლინის მოყვარული თავმჯდომარე თამარ თავაძე ყოფილა. შენობა, სანავარდოს უძველეს უბანში კოლმეურნეობის კანტორა რომ გახლდათ განლაგებული, განსაკუთრებული არქიტექტურით გამოირჩეოდა და დღემდე სამტრედიის ისტორიის ერთი ფურცელი გახლავთ. ბევრისთვის გულსაწყვეტია ამჟამად მისი გაპარტახებული ნახვა.

იუსტიციის მინისტრის მოულოდნელი სტუმრობის მიზეზი საშუალებას მისცემს მას ინდუსტრიის ფერხულში ისევ ჩაებას, მით უმეტეს, რომ როგორც იუსტიციის მინისტრთან ერთად სამტრედიაში სტუმრად მყოფი "ახალსახლქალაქმშენპროექტის" კონსტრუქციული განყოფილების უფროსი, ინჟინერ-კონსტრუქტორი შალვა დოლიძე პირველადი დათვალიერებით აცხადებს: "შენობა რეაბილიტაციას ექვემდებარება, მისი საძირკველი და მზიდი კედლები დაზიანებული არაა." ერთი სიტყვით, ვინც ააგო, როცა ააგო მკვიდრად ააგო და უკვე ათეული წლებია, წვიმასა და ქარს შეტოვებული, წარსულიდან მომავლის შენებაშიც ჩაერთვება. პირვანდელი სახით რეკონსტრუქციის შემდეგ, მასში იუსტიციის სახლი დაიდებს ბინას. აღნიშნა კიდეც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა: "ვფიქრობ, არსებული ინფრასტრუქტურა და ტერიტორია სამტრედიასა და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის საკმაოდ ხელსაყრელია. მოხდება არსებული შენობის სრული რეაბილიტაცია მისი ძველი იერსახის შენარჩუნებით."

იუსტიციის სახლი თანამედროვე სტანდარტებით დიდი შენაძენი იქნება სამტრედიისთვის. ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურადაა ჩართული ამ პროცესში. როგორც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების მონდომებით შეეცდებიან საკითხი 2019 წლის ბიუჯეტში ჩაისვას.

იუსტიციის მინისტრს მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, მოადგილე დავით ბახტაძემ და მერიის სხვა პასუხისმგებელმა პირებმა გაუწიეს მეგზურობა. ვალერიანე ფოცხვერია ხაზს უსვამს, რომ "მართალია, ზედაპირული დათვალიერებით დადგინდა შენობის მდგრადობა, მაგრამ ექსპერტების დასკვნა შენობის ვარგისიანობაზე, ბუნებრივია, მაინც აუცილებელია. ვიმედოვნებთ, მოგვეცემა საშუალება მისი პირვანდელი სახით აღდგენისა, რადგან ამ შენობას სამტრედიისთვის დიდი დატვირთვა აქვს. სასიხარულოა, რომ იგი კვლავ საჭირო და გამოსადეგი გახდება.

ადგილობრივი ხელმძღვანელობის დიდი მონდომებითაც, სავარაუდოა, მომავალი წლიდან სამტრედიაში კიდევ ერთი მასშტაბური მშენებლობა დაიწყება მომავალში ისტორიის ერთი ფურცლის გასაცოცხლებლად.

# დაინყო, მიმდინარეობს, მაღე დასრულდება!

**თეა ბაბუნაშვილი**

28 კილომეტრზე ასფალტის, 6 კილომეტრზე ბეტონის გზა, სამუშაოთა საერთო ღირებულებით 4 მილიონ 700 ათასი ლარი, სამტრედიაში მიმდინარე წელს დაგებული გზებისა და დახარჯული თანხის მაჩვენებელი ციფრებია. რეგიონალური განვითარების ფონდის 95% დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის 5% თანამონაწილეობით დაფინანსებული სამუშაოებიდან ნაწილი დასრულებულია, ნაწილი დასრულების პროცესში, ნაწილიც კი წლის ბოლომდე დაიწყება და დასრულდება. ფაქტია, რომ დეკემბრის მეორე ნახევრისთვის ყველა მათგანი უნდა ჩაბარდეს. ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორზე საუბარიც კი ზედმეტია, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები არ ჩაიბარებენ! "მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება და საბოლოოდ ყველა ის ქუჩა დაიგება, რიგში რომ დგას. ვფიქრობთ, ამ მხრივ წელს ცოტა სამუშაო არ შესრულებულა. 30 კილომეტრამდე ასფალტის და 6 კილომეტრი ბეტონის გზა, ის რაოდენობაა, წლებია, რომ არ დაგებულა სამტრედიაში." _ ამბობს მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია.

2 კილომეტრსა და 800 მეტრზე ხიბლარისა და ხუნჯულაურის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის დაგების შედეგად, ეს ორი სოფელი ერთმანეთს და ამასთანავე, კულაშს დაუკავშირდება. ბუნებრივია, ეს სოფლები ერთმანეთს აქამდეც უკავშირდებოდა, მაგრამ ატალახებული და მოუწესრიგებელი გზით. საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია ხაზს უსვამს, რომ: "ამიერიდან ფეხით მოსიარულეებსა და ტრანსპორტით მოსარგებლეებს გზაზე პრობლემები არ შეექმნებათ. მოწესრიგებული გზის საფარი კომფორტულად მოძრაობის საშუალებას მისცემს მოსახლეობას." "სოფელ ხუნჯულაურიდან დაბა კულაშის საჯარო სკოლამდე, სადაც აქაური ბავშვები სწავლობენ, ეს უმოკლესი გზა გახლავთ. იმიტომ ავიღეთ აქცენტი მის შეკეთებაზე." _ აღნიშნავს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია.

390 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია "ლატექსი" ასრულებს.

# "აქილევსის ქუსლის" მოწესრიგება გაზეთის სწორად გამოყენების კულტურასთან თანხვედრაში

მოუწესრიგებელი სველი წერტილები ადგილობრივი ადმინისტრაციული სახლის "აქილევსის ქუსლი" კარგა ხანია არის. და თანაც ისე, რომ არც პოლიტიკურ ცვალებადობას ექვემდებარება და არც არაფერ სხვას. აქ დასაქმებულებს არაერთხელ უნახავთ მიმდინარე სამუშაოები მათ ევროპულ სტანდარტებამდე ასაყვანად, მაგრამ მცდელობა ყველა სამუშაოს დასრულების შემდეგ მალევე მცდელობად რჩება.

ადმინისტრაციული სახლის სამხრეთ ფლიგელში, მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე კვლავ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და როგორც ამბობენ, მათი დასრულების შემდეგ სიტუაცია საბოლოოდ გამოსწორდება. პრობლემის ერთადერთი მიზეზი წლების წინ, ანუ ჯერ კიდევ შენობის აგებისას, მეოთხე სართულის კედელში ჩაშენებული მილის დაზიანება აღმოჩნდა. იგი უკვე ამოიღეს და წყალგაყვანილობის მთელი სისტემა შენობის გარე კედელზეა გამოტანილი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ თევზაძე აღნიშნავს, რომ: "პროექტი, რომელიც ევროპული დონის საპირფარეშოების მოწყობას გულისხმობდა, ჯერ კიდევ გასულ წელს შეიქმნა. ამჯერად მისი განხორციელება მიმდინარეობს. თუმცა შენობაში დასაქმებულთა მოთხოვნა გახლდათ, ევროპული ინტერიერი ე.წ. თურქული ნიჟარებით შეცვლილიყო. რადგან დაზიანებულ მილს მივაგენით შენობის მეოთხე სართულზე და შევაკეთეთ, იმედია, ამიერიდან წყალი აღარ გაჟონავს ქვედა სართულებში."

გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე სამუშაოებს, რომელიც 4 ათას 300 ლარი ჯდება, შპს "ლაშა" ასრულებს.

შპს "ლაშას" ხელმძღვანელი ანზორ ჩაჩუა სამუშაოს მოცულობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ძველი მეთლახი ახლით შეიცვლება, გამოიცვლება შიდა გაყვანილობა, ელექტროობა, ხელსაბანი ნიჟარები, უნიტაზები. სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია რამდენიმე დღეში დასრულდება.

და ერთიც... იმედია, ევროპულ დონეზე რეაბილიტირებული სველი წერტილები იმ კულტურასაც ევროპულად ჩამოაყალიბებს, საპირფარეშოში გაზეთის შეტანას რომ უკავშირდება.

**თეა ბაბუნაშვილი**

# ყველაზე დიდი ქართველები "ვეფხისტყაოსნით" დალოცვილი მესხეთიდან

თეა ბაბუნაშვილი

***არავითარი მსაზღვრელი _ თურქი! ისინი მესხები არიან, ყველაზე ძველი ქართველები ისტორიული მესხეთიდან. მერე სხვა ჭეზით წაიყვანა ბედისწერამ მათი ცხოვრების წლები, სამშობლო შორს დარჩენილ მშობლის კერად იქცა მათ მეხსიერებაში. ჭეა მაინც გაიკვალეს მისკენ, ეკლიანი, ძნელად საგალი, მაგრამ გენში სისხლად ჩაღვრილი ქართველობა შთამომავლობას სულად ჩაბერეს.***

***თურქ მესხებს კარგა ხანს ეძახდნენ. გული სწყდებოდათ. საუთარი გვარებიც მოიძიეს, ქართული გვარები, შორეულ წინაპარია სითბოთი გამთბარი.***

***ქართველობენ რეპატრიანტი მესხები, ქართველობენ, რადგან ქართველები არიან! და ქართველობენ, რადგან, რუსთაველი, "ვინმე მესხი მელექსე", ყველაზე დიდი ქართველი იყო ქართველობის ყველაზე დიდი გამოხატულებით, "ვეფხისტყაოსნით"!***

ტოლერანტობის საერთაშორისო დღე იანეთში, მესხთა დასახლებაში არასრულ საჯარო სკოლაში აღნიშნეს. სკოლა საგანგებოდ შეირჩა, რადგან... რადგან ოჯახთან ერთად აქ არის ადგილი, მომავალი თაობა სამშობლოს სიყვარულს რომ სწავლობს.

მთელმა სკოლამ, მთელმა დასახლებამ მოიყარა თავი. ლექსით და სიმღერით მოეფერნენ სამშობლოს, ქარი რომ უმღერის ნანას, ქარაფს შეფენილი ჯიხვების საბუდარს, ორ ზღვას შუა საომარი რომ ყოფილა ერთ დროს. აქ დაბადებული სულიკოს და მზისკენ გაფრენილი მერნის სიამაყით ფეხზე დაგიდგები ჩემო საქართველოო, დაჰპირდნენ ქვეყანას, არ გაიცვლები სხვაზედაო, რომ უმღეროდნენ ერთხმად.

საქართველოს ჰიმნს ყველა ერთად წამოუდგა, სტუმრებიც და მასპინძლებიც. სტუმრები კი, ხელდამშვენებულები რომ მოვიდნენ მათთან შესახვედრად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან იყვნენ. მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოწყობილი ეს ღონისძიება, ამავე სამსახურის მთავარ სპეციალისტს, ეკა კიკაჩეიშვილს, მიჰყავდა. "ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. ტოლერანტობა ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში!" _ აღინიშნა ღონისძიებაზე. განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძე ხაზს უსვამდა, რომ სხვაგან სად, თუ არა აქ, ამ სკოლაში უნდა აღნიშნულიყო ეს დღე.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან მოწვეულ თანატოლებთან ერთად ამ სკოლის აღსაზრდელებმა ერთობლივი საკონცერტო ნომრებიც შეასრულეს. მეგობრობა მართლმადიდებელ და მუსულმან ბავშვებს შორის მალე დაიბადა. ეს იქ დაწყებულ მათ ურთიერთობებს მაშინვე დაეტყო.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, რომელიც აღნიშნავდა, რომ: "თქვენ ყველაზე ნაღდი ქართველები ხართ მესხეთიდან, რუსთაველის სამშობლოდან. რუსთაველი ყველაზე დიდი ქართველია ქართველთა შორის. თქვენს ყველა ნაკვთში, გარეგნობაში მესხური, ქართული სული ჩანს. მესხებო, ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს და მას საქართველო ჰქვია!", ხელდამშვენებული ჩავიდა მესხების უბანში. კულტურის სამსახურმა სკოლის დირექტორთან მარინე დარსაველიძესთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დაადგინეს, რა აკლდა და სჭირდებოდა სკოლას. სპორტული ინვენტარი საჩუქრად გადაეცა რეპატრიანტთა არასრულ საჯარო სკოლას, თითოეული მოსწავლე კი მხატვრული ლიტერატურით დაჯილდოვდა. მუნიციპალიტეტის მერმა დასამახსოვრებელი ფულადი საჩუქარი გაუკეთა სკოლის მუსლიმ პედაგოგს მურსადინ მამედოვს. გარდა ამისა, სოლიდური ფულადი საჩუქარი გადასცა სკოლის ყოფილ წარჩინებულ მოსწავლეებს, ძმებს ჯუმალ იზნოსა და რაფიგ იზნოს, საზღვარგარეთ რომ ეუფლებიან ექიმის პროფესიას.

და ბოლოს, საქართველოსფერი მიწის და ცის სადიდებლად ისევ ერთად მღეროდნენ მაჰმადიანი და ქრისტიანი მოსწავლეები, მათ სამშობლო აერთიანებდათ, სამშობლო, მზითვის წიგნად ქცეული რუსთაველის "ვეფხისტყაოსნით" დალოცვილი და ნაფერები.

# "ნოემბერი, სტიქონები, 21-ე საუკუნის მუზები..."

ნათია ნაცვლიშვილი

ცხოვრებაც პოეზიაა, ხან მინორს გვთავაზობს, ხანაც _ მაჟორს, დიახ, შავ-თეთრის მონაცვლეობაა წუთისოფელი, ამიტომაც ირჩიეს პოეტურ განცდებმოძალებულებმა ახალგაზრდებმა ნოემბერის ერთი ლამაზი დღე კაფე "Blak and White"-ში გაეტარებინათ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა შესანიშნავი პოეტური პერფორმანსი სწორედ ქალაქის ამ ცენტრალურ კაფეში გამართეს. ხელწერა ყველაფერს დაატყვეს: სითეთრეს დარბაზში შემოდგომის ხმელი ფოთლები და მუსიკა შეერია, ფოთლებზე მათი პოეტური სტროფები იყო წარწერილი. "ნოემბერი, სტრიქონები, 21-ე საუკუნის მუზები..." ასე ერქვა ღონისძიებას, რომელსაც წამყვანი არ ჰყავდა, იდეის ავტორი კი ამავე პარლამენტის ლიდერი თამარ ჯინჭველეიშვილია. ლექსი ხომ ერთი ამოთქმა და ამოსუნთქვაა, ამდენად, მოსწავლეებმა განსაკუთრებული შინაარსის ლექსები წარმოთქვეს. თემატიკა შთამბეჭდავად ვრცელი იყო, ამ ბავშვების ინტერესის ორბიტაში მოხვდნენ როგორც კლასიკოსი პოეტები: მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ტარიელ ხერხელაური, ნოდარ ადეიშვილი, ბესიკ ხარანაული, თინეიჯერთათვის პოპულარული ზურაბ სალუქვაძე, ასევე საუკეთესო ახალგაზრდა პოეტი, როინ აბუსელიძე, ნაადრევად გარდაცვლილი ნიკო გომელაური და სხვა.

განსაკუთრებით სასიხარულო ის იყო, რომ საღამოს სამტრედიელი ახალგაზრდა პოეტი ნიკო დანგაძეც დაესწრო. როგორც მოგვიანებით მოსწავლეთა პარლამენტის კურატორმა, ენერგიულმა და დაუღალავმა ელიკო ანკვაბმა გაგვიმხილა, სწორედ ნიკოა სლოგანის "ჩემი, შენი, ჩვენი სახლი" ავტორი. ნიკომ თავისი ლექსიც წაიკითხა და აპლოდისმენტები დაიმსახურა. პუბლიკის წინაშე საკუთარი ლექსებით წარსდგა მეორე სკოლელი ანი ჯოჯუა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ" სკოლა "ცოდნის", მეორე, მესამე, მეოთხე, მერვე, მეათე და სოფელ ნიგორზღვის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ჩვენდა გასახარად უნდა აღინიშნოს, რომ ამ თაობას პატრიოტული ლექსებიც ძალიან მოსწონს. ნაციონალური ნარატივის კულტურაში ჩართვა ხომ სწორედ ადრეული ასაკიდან მომდინარეობს, როცა პატრიოტული ლირიკით ხდება ახალგაზრდებში ნაციონალური სულისკვეთების აღზრდა. სიყვარულზეც ბევრი ითქვა, მეგობრობაზეც და კაცთმოყვარეობაზეც. ვინ თქვა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო: სწორედ სამტრედიელი პოეტის, ანტონ გაგუას სიტყვებით დაიწყო საღამო ბაია თოდუამ: "პოეზია მორალისტური ტრაქტატების ასპარეზი არაა, პოეზია დაფარული და იდუმალი ხმაა იმისა, რაც ადამიანთა სევდას ეხება".

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ამ შემოქმედებითი ბირთვის წევრებმა იმ დღეს კიდევ ერთი იდეა გაგვიმხილეს, მათ ლიტერატურული კაფეს შექმნის სურვილი აქვთ. თუმცა, ჯერ ეს მხოლოდ იდეის დონეზეა. ახალგაზრდებს მიესალმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელი ტატა გოგუაძე, მან შემოქმედებითი, საინტერესო და ემოციური საღამო მოუწონა ბავშვებს და მადლობა გადაუხადა პოეტური დღის ასე ლამაზად გატარებისათვის. "მე თავს ვხრი თქვენს წინ ბალახზე დაბლა" _ პოეტ ნოდარ ადეიშვილის ლექსის სტროფით მიესალმა მოსწავლეებს "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა. მოსწავლეთა სახლში დამკვიდრებულ საუკეთესო ტრადიციების უწყვეტობას გაუსვა ხაზი საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო კირთაძემ.

პოეტური ნოემბერი 2018 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბეღელს ჩაჰბარდა...

# საინტერესო ექსკურსია

სკოლა "ცოდნის" მე-4 კლასის მოსწავლეები ვსწავლობთ საგანს "მე და საზოგადოება". მას გვასწავლის მასწავლებელი ლუიზა მიქაუტაძე. იგი ბევრ საინტერესო თემებზე გვესაუბრება, როგორიცაა: "თეატრი და საზოგადოება", არქეოლოგია, ბიბლიოთეკა _ "წიგნის თარო", მუზეუმი.

1-ლ ნოემბერს IV კლასის მოსწავლეები ლუიზა მასწავლებლის ხელმძღვანელობით ვესტუმრეთ სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ვიდრე მუზეუმის დათვალიერებას

დავიწყებდით, მოგვიახლოვდა მომღიმარი სახით და გაგვეცნო მუზეუმის დირექტორი ქალბატონი გულიკო ცინცაძე. მან საინტერესოდ მოგვითხრო, რას იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს მუზეუმში. აქ გამოფენილი ძველი ნივთები ხელოვნებისა და ისტორიის ნიმუშები მოგვითხრობენ ჩვენი ლამაზი სამტრედიის წარსულზე, თუ როგორ გაიხსნა სამტრედიაში რკინიგზის გზა ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით. გაოცებით ვისმენდით უნიკალური წიგნების ისტორიას. ვნახეთ "ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა გამოცემა, "შუშანიკის წამება", რომელსაც ხბოს ყდა აქვს. ჩვენთვის გასაკვირი ის იყო, რომ მსახიობები: აკაკი კვანტალიანი, ვ. ნინუა, ეროსი მანჯგალაძე და ბევრი სხვა საინტერესო ადამიანები სწორედ სამტრედიის მკვიდრნი იყვნენ.

ასევე ვიყავით საბავშვო ბიბლიოთეკაში, ვნახეთ ძალიან იშვიათი და ძვირფასი წიგნები, სახელმძღვანელოები. თაროებიდან, სადაც განლაგებულია უამრავი ზღაპარი თუ მხატვრული ლიტერატურა, გვეგონა, თითქოს გვიზიდავდნენ ავტორები და გვესაუბრებოდნენ ბევრ საინტერესო ამბავზე.

ჩვენი კლასის მოსწავლეები ძალიან კმაყოფილები დავრჩით ექსკურსიით.

*IV კლასის მოსწავლეების ჯგუფის სახელით ნინო ცინცაძე*

# წარმატების გზა გაკვეთილზე

**თეა ბაბუნაშვილი**

აინტერესებდათ ბევრი, უფრო სწორად, ყველაფერი. და რაც მთავარია, აინტერესებდათ საჭირბოროტო თემები, პრობლემები, საკითხები მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან. საკლასო ოთახში სკოლის მესამე სართულზე, თანამედროვეობაზე დაფიქრებულ თანამედროვედ მოსაუბრე ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის პირველ პირთან ჰქონდათ შეხვედრა. კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქის მე-12 საჯარო სკოლა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების დეფიციტს არასდროს განიცდის. ბუნებრივია, ამაში ამ სკოლის პედაგოგების ლომის წილია. შემთხვევითი არ არის, რომ განსაკუთრებული გაკვეთილი სამოქალაქო სწავლების პროგრამის ფარგლებში აქ გაიმართა. პედაგოგ სოფიო კირთაძის აღსაზრდელებმა აქცენტების სწორად დასმისა და საკითხების გაანალიზების უნარ-ჩვევები უპირველესად სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე შეიძინეს. მუნიციპალიტეტის საჭიროებებს მორგებული კითხვების გარდა, საკუთარი ინიციატივებიც გააცნეს მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას.

"გზა წარმატებისკენ" დაარქვეს გაკვეთილს, მე-11 და მე-12 კლასელებმა რომ ჩაუტარეს მუნიციპალიტეტის მერს. დიახ, ჩაუტარეს, რადგან დომინანტი ამ გაკვეთილზე სხვადასხვა თემებით დაინტერესებული სწორედ ეს ახალგაზრდები გახლდნენ. წარმატების ფორმულა უშუალოდ ვალერიანე ფოცხვერიასგან მიიღეს და გონებაში ჩაინიშნეს. ინტელექტი, ბუნებრივად რომ მოდიოდა მოსწავლეებისგან, ამ გაკვეთილზე ნამდვილად უხვად იყო. "ეს საგანი საშუალებას გვაძლევს, უპირველესად თავისუფლება ვისწავლოთ და მეც ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვსწავლობ როგორ გავხდე კარგი მოქალაქე" _ აღნიშნა სოფიო კირთაძემ.

შემთხვევით ისარგებლა და მოსწავლეებთან ერთად რიგ საკითხებში სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ონიანი გაერკვია. ერთი გაკვეთილის განსაზღვრული დრო საკმარისი არ აღმოჩნდა მოსწავლეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მათ ყველა კითხვაზე პასუხის მისაღებად, მაგრამ მერის მოუცლელობამ საუბრის გაგრძელების საშუალება არ მისცათ. დაპირება კი მიიღეს, დაპირება, იმაზე, რომ ის ჯერ უკვე დასმულ კითხვებზე დაფიქრდებოდა, ინიციატივებსა და წინადადებებს გააანალიზებდა, ხოლო ახლო მომავალში კვლავ ერთად დასხდებოდნენ სასაუბროდ.

ვალერიანე ფოცხვერია, ალბათ, უკვე გაეცნო წერილებს, მოსწავლეებმა მისთვის გადასაცემად რომ დაწერეს. ჩვენ კი ძალიან გვაინტერესებს, რა წერია იმ ფურცლებზე, საგულდაგულოდ დაკეცილი რომ გადასცეს, თუმცა, ალბათ, ამ საიდუმლოს გავიგებთ მაშინ, მუნიციპალიტეტის მერი მათ იდეებს წარმატებულ საქმეებად რომ აასრულებს.

# ერთი საათი გალაკტიონთან

**ლევან გაბეჩავა**

წინასწარ არაფერი დაანონსებულა, 17 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღე იყო. 16 ნოემბერს კი რამდენიმე წუთით გალაკტიონის შემოქმედების თანაზიარნი აღმოვჩნდით.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შუადღის 2 საათისთვის 20-მდე მკითხველი დაფიქსირდა.

სჭარბობდნენ ახალგაზრდები.

ქართული პოეზია გალაკტიონის შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელია, თქვენთან ერთად გვსურს გალაკტიონის შედევრები წავიკითხოთ, გმადლობთ, რომ მობრძანდით, მიესალმა შეკრებილთ ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი ლამარა დუნდუა.

გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციის პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ.

გზნებით კითხულობდნენ პოეტის შედევრებს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები შოთა კანდელაკი, მონიკა ბოკუჩავა, თამთა ცერცვაძე, ქალბატონები მარინა ჩხაიძე, იზაბელა ლეგაშვილი, სტუდენტი მარიამ ჩხაიძე, მკითხველი ქალბატონი თამარ კრავეიშვილი.

განსაკუთრებული აქტიურობით თამთა ცერცვაძემ გამოიჩინა თავი, რომელმაც საკუთარი ახალი ლექსებიც წაიკითხა და აპლოდისმენტები დაიმსახურა. ერთი საათი ხმიანობდა დარბაზში გალაკტიონის ლექსი.

მონიტორი ჩაირთო და... თავად პოეტთა მეფე კითხულობს საკუთარ ლექსებს...

ასე ორიგინალურად აღინიშნა გალაკტიონის დაბადების დღე მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში.

# არც ისე ბევრია 90 წელი

ყველა უმალ დარწმუნდება ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, ვინც ქალბატონ ციალა კვანტალიანს ნახავს, საოცრად ღვაწლმოსილს, ნაამაგარს, დღესაც ფუტკარივით მშრომელსა და გამრჯეს, ერთგულ მეციხოვნესავით დედაბურჯად რომ უდგას მამა-პაპისეულ კერას.

ათეული წელი იღვაწა დაბა კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლასა და კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში.

შოთას, ვაჟას, ილიას, აკაკის ენას ასწავლიდა ახალგაზრდებს, თან სამშობლოს სიყვარულს, უფროს-უმცროსობის, ჰუმანურობისა და კაცურ-კაცობის გრძნობებს ავითარებდა თითოეულში.

თვალის დახამხამებაში გაპარულა წლები, თუმცა, ვერაფერი დაუკლიათ ქალბატონი ციალასათვის, ჩვენთვის საყვარელი ციალა მასწავლებლისათვის. ჩვეული პეწიანობა, ოპტიმიზმი არ ტოვებს და რედაქციაშიც ხშირად შემოგვივლის ხოლმე ჩვენს გაზეთზე მხოლოდ ორი წლით უფროსი ქალბატონი, სამტრედიის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი.

ხარობს ციალა მასწავლებელი შვილებით, შვილიშვილებით, სახელოვანი მონაგარით, სიხარულს ჰგვრის ყოფილ მოსწავლეებთან ყოველი ახალი შეხვედრა.

იუბილარია იგი ამ დღეებში.

განუზომელი პატივითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო 90-ე წლისთავს ციალა მასწავლებელო.

არც ისე ბევრია 90 წელი, იდღეგრძელეთ!

*ლევან გაბეჩავა*

# “ეს სიმღერაა საქართველოსი”

ნათია ნაცვლიშვილი

***“ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისსადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო... _ ვისთვისაც გურამიშვილის ამ ვაუხუნარ შეგონებას ყველი არ გასვლია, ვისაც სამშობლო უყვარს და პრობლემებისგან გაქცევას აქ დარჩენას ამჯობინებს, მისთვის და მისნაირთა გასაძხნევებლად ჩატარდა ნაბაკევის საჯარო სკოლაში პატრიოტული ღონისძიება. რაც იმ დღეს ითქვა, უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი, სტანდარტული ღონისძიების ფორმატს შეუძლია დაიტიოს! ეს იყო თხემით ტერფამდე ქართული, გემოვნებიანი, პროვრესული, იმერული მახვილსიტყვაობით და ზომიერი იუმორით გაჯერებული, შეკრული წარმოდგენა! ნიჭიერი და პატრიოტული სულის მქონე მომავალი თაობის მიერ ნათქვამი სიტყვა!***

მეთორმეტეკლასელებმა დაამსხვრიეს მითი იმის შესახებ, რომ ისინი სკოლაში არ დადიან! სწორედ მათ წარმოადგინეს ძალიან შთამბეჭდავად და ემოციურად ნაწყვეტი გენიალური ვაჟა-ფშაველას “სტუმარ-მასპინძლიდან”, რითაც განსაკუთრებული ლაზათი შეჰმატეს ისედაც ძალზე კარგ ღონისძიებას. და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ ამ საუკუნეშიც უკვდავია მთის ბუმბერაზი პოეტის იდეები, მისი ჰუმანისტური შეხედულებები თუ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. უსათუოდ მადლობას იმსახურებენ ფილოლოგები ლალი შენგელია და შორენა თადუმაძე, რომელთაც ამ შესანიშნავი პოემის გაცოცხლების იდეა გაუჩნდათ. შესანიშნავი დეკორაციები დარბაზისათვის სკოლის ახალმა ხელოვნების პედაგოგმა, შორენა გვირჯიშვილმა შექმნა. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ამ შემოქმედებითი ღონისძიების ბიძგის და მუხტის მიმცემი, სკოლის ენერგიული და ნოვატორი დირექტორი ეკა ჯამბურიაა. მოსწავლეებმა საქართველოს შვიდი კუთხე წარმოადგინეს თავისი წეს-ჩვეულებებით. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ კუთხეების წარმდგენებს შორის ძალზე პატარები _ მეოთხეკლასელი საბა ნინუა და მეორეკლასელი მარიამ სტურუაც იყვნენ. სკოლის დირექტორმა პუბლიკას ბოდიში მოუხადა, რომ ერთი საღამოს ფორმატში ვერ მოთავსდა საქართველოს ყველა კუთხე და დანარჩენი კუთხეების შესახებ სასაუბროდ მოგვიანებით მიგვიპატიჟა.

“არვის ვმსახურებდეთ და არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამბადებლისა. ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქრისტესათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის, გავწყდით, გავილიენით, უსწორო ომები ვასწორეთ, და ამ ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ აქ, ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით!” _ ილიას ამ უკვდავი შეგონებით დაიწყეს და ამ განწყობას დაექვემდებარა მთელი მხატვრული წარმოდგენა! ქართლი, კახეთი, ფშავი, აფხაზეთი, აჭარა, რაჭა და იმერეთი _ ყველა ამ კუთხის ისტორია მოგვითხრეს, ყოველი მათგანი დამახასიათებელი კოლორიტული თავისებურებით წარმოაჩინეს. ითქვა გალაკტიონის უბერებელი “ნიკორწმინდა”, და “აფხაზეთის წვიმა მიყვარს იცი, რად?” რაჭული და აჭარული ცეკვების ცეცხლი დაანთეს, კახური ბუნების წარმოსაჩენად სცენაზე ჩვენი ეპოქის ლუარსაბი და დარეჯანი გამოვიდნენ, მცირედ მოდერნიზებულნი. მათი საუბრის თემა კვლავ ღორის სუკებია, თანამედროვე ლამაზისეული კი ელისაბედს მიმართავს: “ თქვენ რა გიჭირთ ქალბატონო, წინასწარ პენსია არ გქონდეთ აღებული...” ამ არჩევნებს არ გავეკარებიო, დაიწუწუნა ელისაბედმა, რა იყო, რას წუწუნებ, ფულიც იშოვე და ქმრის სამსახურიცო, ასე უპასუხა ლამაზისეულმა. “ _ ბებიია, ბებიაა... კინოფილმიდან კარგად ნაცნობი ძახილით იმერელი გოგონა შემორბის დარბაზში და მართა ბებოს სასკოლო წარმოდგენაზე მისვლას სთხოვს. ჩვენს სკოლას ხურავენო, დეპეშისა არ იყოს, შეიცხადებს მართა ბებია, მაგრამ შვილიშვილი განუმარტავს, კი არ ხურავენ, მალე გადახურავენო...” ასე რომ, ინფრასტრუქტურული პრობლემების გაჟღერებაც მოახერხეს მოსწავლეებმა იუმორისტულ სკეტჩში.

ღონისძიების ბოლოს ეკა ჯამბურიამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისათვის, მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას მადლობა გადაუხადა სოფლის შესანიშნავი ახალი ბაგა-ბაღის გახსნის გამო. მან აღნიშნა, რომ მოსწავლეების დიდი სურვილი იყო, ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის მერი სწვეოდათ. ამ ახალგაზრდებმა მერი უშუალოდ პროექტის “განავითარე შენი რაიონი” პრეზენტაციის დროს გაიცნეს. მალე პრეზენტაცია მომავლის პარკში მოეწყობა, პროექტის გამარჯვებულმა მონაწილეებმა კი უკვე მოიპოვეს ბაკურიანში სამდღიანი დასვენების უფლება. ქალბატონი ეკას თქმით, მეათეკლასელებმა ნათია აქირთავამ და სოფიო ნადარეიშვილმა დადგეს ყველა უცხოური ცეკვა, ქართული ცეკვები კი დავით ჯოჯუამ დადგა.

ვალერიანე ფოცხვერია: “აღფრთოვანებული ვარ ამ ღონისძიებით, ამ წარმოდგენამ ჩემზე მართლაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებულად მეთორმეტეკლასელებმა მომხიბლეს, ეს უსაყვარლესი პოემა “სტუმარ-მასპინძელი” ასე ღრმა გააზრებით რომ წარმოადგინეს. მართლაც შესანიშნავი საღამო იყო, ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან, ყველაფერი კარგია ამ სკოლაში, გარდა ინფრასტრუქტურისა, მაგრამ ჩვენ საამისოდ ვზრუნავთ და ცდას არ ვაკლებთ, ყველანი იმსახურებთ, უკეთეს სკოლაში ისწავლოთ”.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე: “ ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა ეს ღონისძიება, საქართველოს ისტორია იყო წარმოდგენილი მხარეების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ეს ბავშვები სკოლის საუკეთესო რესურსს წარმოადგენენ, ბევრი ქალაქის სკოლა ვერ ახერხებს ასეთ მაღალ დონეზე ღონისძიების წარმოდგენას. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ იგი ასეთი ეროვნული მუხტით არის განმსჭვალული, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით მადლობას მოგახსენებთ ყველა პედაგოგს, ვინც მიიღო მონაწილეობა მომზადებაში. ასე ტაქტიანად, იუმორით წარმოაჩინეთ სკოლის ინფრასტრუქტურული პრობლემებიც, ბევრ სკოლაში ითხოვენ დახმარებას და გულწრფელად გეტყვით, ასეთ კი არა, ამის ნახევარი ღირსების მქონე ღონისძიებაზე არ ვარ ნამყოფი.”

# “წიგნის ბორბალი”



რამდენიმე საუკუნის წინ მეცნიერებისა და სწავლულების სამუშაო კაბინეტები წარმოადგენდა ხელნაწერებითა და ფოლიანტებით (ძველი დროის სქელტანიანი წიგნები) დახუნძლულ ერთგვარ დაწესებულებას. ცნობილია, რომ XVI საუკუნეში წიგნებს, ძირითადად ხელით ამზადებდნენ და ისინი არა მხოლოდ დიდი მოცულობით, არამედ საკმაოდ დიდი ფასითაც გამოირჩეოდნენ. ერთ-ერთ ანგლოსაქსურენოვან დოკუმენტში ვკითხულობთ: “ეს წიგნი დამზადდა ოთხ კვირაში და ორმოცდაცამეტი შილინგი ღირს”. _ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმ პერიოდის ინგლისში დასაქმებული ადამიანის საშუალო წლიური ხელფასი ორმოცდაათი შილინგიც კი არ იყო, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რაოდენ ძვირად ფასობდა თითოეული ეგზემპლარი წიგნისა. შესაბამისად, ძვირადღირებული წიგნების ფლობის პრივილეგიით მხოლოდ მეფეები, არისტოკრატები და სასულიერო პირები სარგებლობდნენ მცირერიცხოვან სწავლულებთან ერთად. პირველთათვის კარგი ბიბლიოთეკის ფლობა მათივე პრესტიჟთან ასოცირდებოდა, ხოლო მეორეთათვის იგი უმნიშვნელოვანეს სამუშაო საშუალებას წარმოადგენდა.

იმისათვის, რომ მეცნიერებს რამდენიმე ხელნაწერთან ან წიგნთან ერთდროულად მუშაობა გამარტივებოდათ, სახელოვანმა იტალიელმა სამხედრო ინჟინერმა, მექანიკოსმა და ლეონარდო და ვინჩის ყოფილმა მოწაფემ _ აგოსტინო რამელიმ (1531-1610 წლები) 1588 წელს გამოიგონა რთული კონსტრუქციის მქონე მოძრავი სამკითხველო მაგიდა, რომელსაც შემდგომ “წიგნის ბორბალი” უწოდეს. მკითხველი ჯდებოდა სკამზე და ატრიალებდა კონსტრუქციას, რომლის დაფებზეც მისთვის საჭირო რამდენიმე გადაშლილი წიგნი თუ ხელნაწერი იყო განთავსებული. გარდა ამისა, “სამკითხველო მაგისა” რავიტაციის ძალითაც შესწევდა ბრუნვა. დროთა განმავლობაში საფრანგეთის მეფის ანრი III დე ვალუას სამეფო კარის ინჟინრის მიერ გამოგონებულმა “წიგნის ბორბალმა” აქტუალობა დაჰკარგა და დღეისათვის მათი ხილვა მხოლოდ მუზეუმებშია შესაძლებელი.

**Genia.Ge**

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ

# ნაბეჭდი წიგნი მაინც შეუცვლელია

ნათია ნაცვლიშვილი

***ინტელექტუალთა წრეში და არამარტო მშობლიურ სამტრედიაში კარგად იცნობენ. თვითკრიტიკულია, ეძებს სიახლეებს და არ უჭირს შეცდომების აღიარებაც. ვიორვი ზამთარაძემ ჩვენი ყურადღება რამდენჯერმე მიიპყრო ინტელექტუალთა თამაშებიდან, როგორც სასკოლო გუნდის საუკეთესო მოთამაშემ. ის მესამე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასელია. წიგნსა და ლიტერატურაზე თვალებანთებული საუბრობს. იგი ერთგვარი გამომხატველია მისი თაობის ლიტერატურული გემოვნებისა და განწყობებისაც.***

**_ წიგნი შენთვის რა ღირებულების მატარებელია?**

_ თითოეული წიგნი, განურჩევლად იმისა, მოსწონს თუ არა ბევრს, ატარებს ისეთ ფილოსოფიას, რომელიც გამოსადეგია ნებისმიერ დროსა და ეპოქაში.

**_ როგორია წიგნის არჩევის პროცესი? რომელიმე ავტორიტეტული მეგობრის რჩევას ეყრდნობი?**

_ რამდენიმე გზა მაქვს წიგნის ასარჩევად. მეგობარი გურამ კურუტიშვილი მყავს საუკეთესო მრჩეველად ამ საკითხში, თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, წიგნი ერჩიოს და არ მომწონებოდეს. მეორე და უფრო გავრცელებული მეთოდი არსებობს _ აპლიკაცია" Goodreads", ამ აპლიკაციით ვირჩევ უმეტესად. ხშირად ვაკითხავ ამ აპლიკაციას. აქ დარეგისტრირებულნი არიან მკითხველები, ნებისმიერ მკითხველი გამოთქვამს აზრს, იქამდე რეცენზიებიც იწერება. ამ საუბრებიდან რაც მაღალი რეიტინგის მქონედ მეჩვენება, იმას ვკითხულობ, თუმცა ყოფილა შემთხვევა, ის წიგნი მომწონებია, რომელსაც ამ საიტზე დაბალი რეიტინგი ჰქონია.

**_ ამას წინათ, შენც დაესწარი გიორგი კეკელიძის ლექციას სამტრედიაში, როცა მან თქვა: "ყოველი ჩვენგანი, რაღაც თვალსაზრისით ვართ ჩვენს მიერ წაკითხული წიგნების ჯამი". ეთანხმები ამ მოსაზრებას?**

_ მარტო წიგნებისგან არ შევდგებით, ნაწილობრივ ვეთანხმები.

**_ დაგვისახელე შენი თანატოლებისათვის პოპულარული წიგნები...**

_ მოდით, იმ პოპულარულ წიგნებს ჩამოვთვლი, რომლებიც მეც მომწონს: გილიან ფლინის "გაუჩინარებული გოგონა," ჯეიმს დაშნერის "ლაბირინთში მორბენალი". მახსენდება "შიმშილის თამაშები".

**_ თავად თქვენ რა მოგცათ ამ ნაწარმოებებმა?**

_ "შიმშილის თამაშები" _ ეს ნაწარმოები გვეუბნება, როგორ შეუძლია ერთ ადამიანს მასაში ჩანერგოს მეამბოხე სული, რომელსაც ყველაზე დიდი დიქტატორის დამარცხებაც კი შეუძლია. "გაუჩინარებული გოგონა" ფსიქოლოგიური თრილერია, წიგნის ორი მთავარი გმირი ოჯახდება, წლების მერე სიყვარული გახუნდა და... ცოლი გაუჩინარდება, დიდი ხანი არ ჩნდება და ყველას ეჭვი აქვს, რომ ის მოკლა ქმარმა, რაც არასწორია. ცოლი იმდენად მანიპულირებს, ქმრის თითოეული ნაბიჯი აქვს წინასწარ გათვლილი, ბოლოს ის ერთ ადამიანს კლავს. სახლში მისულმა ცოლმა თქვა: ამ ადამიანს დაბმული ვყავდი და თავი დავიცავი, რომ მოვკალიო. წიგნის მორალია: გადაჭარბებული ნდობაც არ ვარგა და რომ დიდი ზიანის მოყენება შეუძლია ადამიანს, თუ კარგად იცნობს მეორე ადამიანს.

**_ რომელი ქართველი ავტორები მოგწონს?**

_ ქართველი ავტორებისკენ რამდენჯერმე ვცადე მიბრუნება, სამართლე გითხრათ, ვერ ვკითხულობ. დიდი ხნის წინ წავიკითხე დათო ტურაშვილის "ჯინსების თაობა". ვერ გეტყვით კონკრეტულ მიზეზს ამისას, რა თქმა უნდა, ბევრი კარგი ქართული წიგნია, უბრალოდ, მეც საკუთარის არდაფასების, "შინაური მღვდლის არშენდობის" მომენტი, ვაღიარებ, მაქვს. იმედია, მალე დავძლევ ამ წინააღმდეგობას.

**_ ქართული პოეზია გიყვარს?**

_ პოეზიასთან საკმაოდ შორსა ვარ, დიდად არასდროს მხიბლავდა, ვიცი, უახლოეს მომავალში წავიკითხავ ქართველ მწერლებს და პოეტებს. მომწონს სხვისი წაკითხული ლექსის მოსმენა, მაგრამ გააჩნია წამკითხველს. ძალიან კარგად კითხულობს მურმან ჯინორია, ბავშვობიდან მახსოვს გურამ საღარაძის წაკითხული "ქარი ქრის". ნიკოლოზ ბარათაშვილი საოცარ ლექსებს წერდა, თან ისიც გასათვალისწინებელია, ჩემს ასაკში მყოფს იმდენად ღრმა შინაარსის მქონე ლექსები აქვს დაწერილი, 60-70 წლის ფილოსოფიურად მოაზროვნესაც შეიძლება გაუჭირდეს. მომნუსხა და გამაკვირვა მისმა ლექსმა "შემოღამება მთაწმინდაზედ".

**_ რამდენად დიდი ბიბლიოთეკა გაქვს?**

_ სახლში დიდი ბიბლიოთეკა მაქვს, მაგრამ ის წიგნები, საბჭოთა კავშირის გადმონაშთებია, ძირითადად, რუსული ლიტერატურაა, ამ ბოლო დროს დავიწყე საკუთარი ბიბლიოთეკის "შენება". ვსტუმრობ მაღაზიებს "ბიბლუსი" ან "წიგნები ბათუმში", მაღაზიაში "წიგნები ბათუმში" კონსულტანტ- მრჩეველი ჩემი მეგობარია, რომელიც ზემოთ ვახსენე. ბოლო დროს შევიძინე ალბერ კამიუს "შავი ჭირი" და ძალიან მომეწონა, შევიძინე ასევე სამეცნიერო ფანტასტიკის და ფანტასტიკის ჟანრის რომანები, ასევე თრილერები, დეტექტივები. მაგრამ, სამწუხაროდ, აბიტურიენტი ვარ და მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო ნაკლებად მრჩება.

საკმაოდ ძნელია იმ სასწავლებელში მოხვედრა, რომელიც ავირჩიე. მინდა, თავისუფალ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩავაბარო.

**_ სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდში როდის მიგიწვიეს?**

_ გუნდში "ხიხონი" ვითამაშე ერთ-ერთ ტურნირზე. ამას გარდა, ვარ სამტრედიის მესამე საჯარო სკოლის გუნდის "რა? სად? როდის?" წევრი, კაპიტანია ავთო უჯმაჯურიძე. ვართ "ინტელექტის დღე 2018"-ის გამარჯვებული გუნდი.

**_ წიგნებს გჩუქნიან და ჩუქნი?**

_ დიახ, მეც ვჩუქნი და მჩუქნიან.

**_ წიგნს ელექტრონულად კითხულობ?**

_ ელექტრონულად წავიკითხე დიმიტრი გლუხოვსკის "მეტრო 2033" და ძალიან ვინანე, იმიტომ, რომ ჯერ ძალიან პატარა ასოებია, მერე ვერ უბრუნდები გვერდს, 600 გვერდიანი წიგნია, ერთი სიტყვით, წიგნი შეუცვლელია.

**_ ინტელექტუალური თამაშების დროს "სახამთარაძეო" შეკითხვები არსებობს? ანუ, შენი ძლიერი მხარე რა არის?რა ნაშა გიჭირავს?**

_ ისტორია, ნაწილობრივ ხელოვნება, ფილმოგრაფია, მუსიკა, ბავშვობიდან მიჯაჭვული ვარ ფილმებთან და მუსიკასთან, იმიტომ, რომ თითქმის ყველა ამ საკითხზე წარმოდგენა მაქვს. ამ ბოლო დროს ბერძნულმა მითოლოგიამ დამაინტერესა. ლევან ცირეკიძის რჩევით ბერძნული მითოლოგიის კითხვა დავიწყე და ძალიან მომწონს.

**_ ყველაზე ინტენსიურად, ალბათ, ზაფხულის პერიოდში კითხულობ...**

_ ამ ზაფხულს 7-8 წიგნი წავიკითხე.

**_ გყავს მეგობრები, რომლებიც წიგნებთან მწყრალად არიან?**

_ სხვათა შორის, ძალიან განათლებული სამეგობრო წრე მყავს, უმეტესობა სტუდენტია, ჭკვიანი, გემოვნებიანი მეგობრები მყავს, პერსპექტიული ახალგაზრდები.

**_ პროფესია არჩეული გაქვს?**

_ ცოტა ხმამაღალი განაცხადია, მაგრამ მინდა ელჩობა. შეიძლება, კიდევ შევიცვალო აზრი.

**_ წიგნი, რომელმაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შენზე...**

_ ასეთი წიგნია ტოლკინის "ბეჭდების მბრძანებელი", მართლაც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ეკრანიზაციაც არის და საუკეთესო ფილმიც. მთელი ცხოვრებაა გაერთიანებული ერთ ფილმში, იგი მსოფლიოს 250 ყველაზე მაღალრეიტინგულ ფილმს შორის მოხვდა. ამ ფილმის სამივე ნაწილი შესულია რეიტინგის ტოპ ათეულში. სამივე ნაწილს აქვს 17 ოსკარი მოგებული, ნაწარმოების ავტორია ინგლისელი მწერალი. პიტერ ჯექსონი კი ამ ტრილოგიამ აქცია ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე დაფასებულ რეჟისორად.

**_ ყველაზე ცხარედ რა ნაწარმოების გარშემო გიკამათნია?**

_ ალბათ, ნაბოკოვის "ლოლიტას" გარშემო, არიან ისეთები, რომლებიც პედოფილიას რომანტიზირებენ ამ წიგნიდან. მე ვუმტკიცებდი, რომ საერთოდ არ აქვს რომანტიკული ელემენტი პედოფილიას, მეთოთხმეტე გვერდიდან ზიზღის შეგრძნება დამეუფლა და წავიკითხე, მაგრამ დიდად არ მომწონებია.

**_ რა სიძნელის გადალახვაში დაგხმარებია წიგნი?**

_ ცხოვრების გზაზე წიგნის დახმარება არაერთხელ დამჭირდება, უბრალოდ, ჯერ არ მქონია მსგავსი საჭიროება.

# ისტორია გვასწავლის

*ჩვენი რაიონის სასიქადულო შვილის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა თვალავაძის ერთ-ერთი ცნობილი წიგნიდან შემოგთავაზებთ ამონარიდებს, რომლებიც წლების წინ გამოქვეყნდა ჰერიოდიკაში და საოცრად ყურადსაღებია დღეისთვისაც, თანაც, გასათვალისწინებელი.*

*"ისტორია გვასწავლის" _ ასე ჰქვია წიგნს, რომელიც 2013 წელსაა დასტამბული.*

*ვიმედოვნებთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა წარმოდგენილ მასალას.*

**ᲫᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ**

1789 წლამდე საფრანგეთის მოსახლეობა თავს არიდებდა ჯარში სამსახურს, რადგანაც ჯარი ხალხისთვის საძულველი რეჟიმის ერთგული დამცველი იყო. სულ მალე, მას შემდეგ, რაც რევოლუცია დაიწყო და ხალხის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ არმიაში რეფორმები განახორციელა, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის სურვილი ოთხმა მილიონმა მოხალისემ განაცხადა.

**ᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲗᲘ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ!..**

ინგლისში ელიზაბეთ ტიუდორის მმართველობის დროს (1558-1603 წ.წ.) სურსათზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მანუფაქტურის მუშების ხელფასები კი _ უმნიშვნელოდ. ელიზაბეთის მთავრობამ ასეთი მდგომარეობა არანორმალურად მიიჩნია და გამოსცა სპეციალური კანონი, რომლის მიხედვით, ყოველწლიურად, სოფლად და ქალაქად მოსამართლეები ვალდებულნი იყვნენ დაწესებინათ მუშათა ხელფასის რაოდენობა საცხოვრებელი მინიმუმის გათვალისწინებით (მოსამართლეებს სასამართლო საქმეების გარდა სხვა ფუნქციებიც ეკისრებოდათ). საწარმოს მფლობელი მუშას დადგენილ საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს თუ გადაუხდიდა, იგი მკაცრად ისჯებოდა.

*ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ", 2009 ᲬᲚᲘᲡ*

**ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲩᲘ**

გოეთე: "თუ პოეტი პოლიტიკაში გარევას მოინდომებს და რომელიმე პარტიაში უნდა შევიდეს, მაშინ ის დაკარგულია როგორც პოეტი. მაშინ ის უნდა დაემშვიდობოს თავის თავისუფალ სულს, მიუკერძოებელ თვალსაზრისს და დაიხუროს რაღაც სიჩლუნგის, სხვათა მიმართ ბრმა სიძულვილის ჩაჩი".

**ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ**

აშშ-ს პრეზიდენტი ჯონ კენედი მეორე მსოფლიო ომში დაჭრეს, რის შემდგომაც ხერხემალი დაუზიანდა.

საპრეზიდენტო არჩევნებში მისმა მოწინააღმდეგეებმა ეს ფაქტი გამოიყენეს და ხმა გავრცელეს, რომ ჯ. კენედი პრეზიდენტის მძიმე მოვალეობებს თავს ვერ გაართმევსო. ჯ. კენედი იძულებული გახდა, სპეციალური სამედიცინო შემოწმება გაეარა და თავისი ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა წარედგინა.

კარგი იქნება, თუ ჩვენთანაც პრეზიდენტისა და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებისთვის სამედიცინო შემოწმება აუცილებელი გახდება.

**ᲓᲐᲑᲘᲑᲠᲣᲜᲔᲗᲘ ᲡᲔᲜᲐᲢᲘ**

მეფის რუსეთში არსებობდა სასამართლო და ზედამხედველობის უმაღლესი ორგანო სენატი. თუ ადგილობრივი სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ლეკერეთელი ქართველი გლეხი საჩივარს წარადგენდა სენატში, პასუხს სამ თვეში აუცილებლად მიიღებდა. ახლა საქართველოს სამართალდამცავ დაწესებულებებიდან პასუხს ან საერთოდ ვერ მიიღებ, ან რამდენიმე წლის შემდეგ.

*2. XI _ 2011წ.*

*ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲒᲔᲩᲐᲕᲐ*

# გიორგი მელია მსოფლიო პრიზიორია!

მიმდინარე წლის 12-დან 18 ნოემბრის ჩათვლით რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატს ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის. მასში მონაწილეობას ღებულობდა ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის (ხელმძღვანელი ირაკლი მელაშვილი) ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი გიორგი მელია, რომელმაც 97 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა. ფალავანმა სულ ხუთი ორთაბრძოლა გამართა, მათ შორის ოთხი დამაჯერებლად მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. როგორც "სამტრედიის მაცნეს" გიორგი მელიას პირადმა მწვრთნელმა გიორგი ვახტანგაძემ განუცხადა, გიორგის 8 წლის ასაკიდან ავარჯიშებს, ის ბავშვობიდან გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით, და შესაბამისად, უამრავი პრესტიჟული ტურნირი მოუგია. რაც შეეხება მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მის ასპარეზობას, მელიას სულ ცოტა დაკლდა ჩემპიონობამდე. გამოვყოფდი ერთ მომენტს: მესამე ადგილის მოსაპოვებლად მას იტალიის სახელით მოასპარეზე ქართველ ფალავანთან, ნიკოლოზ კახელიშვილთან მოუწია დაპირისპირება. ეს შეხვედრა გიორგის გამარჯვებით დასრულდა. ვულოცავ გიორგის, მის ოჯახს და ჭიდაობის ყველა გულშემატკივარს ამ წარმატებას და ვუსურვებ, მომავალში ბრინჯაო ოქროთი შეეცვალოს!"

*ნაზიკა ნაცვლიშვილი*

# მორიგი წარმატება

საერთაშორისო ტურნირს, "თბილისის თასი", უმასპინძლა ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქმა კინგბოქსინგში, რომელიც 16-18 ნოემბერს მიმდინარეობდა, სპორტის უნივერსიტეტში.

ტურნირში მონაწილეობდნენ სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა) სპორტსმენები, მწვრთნელ-მასწავლებელი, კობა კიკაჩეიშვილი.

სამტრედიელმა კინგბოგსინგელებმა წარმატებით იასპარეზეს.

პირველი ადგილის მფლობელები გიორგი კვანჭიანი და ზვიად კვანჭიანი გახდნენ. მეორე ადგილზე კი ლუკა კოპალეიშვილი და ლუკა კიკაჩეიშვილი გავიდნენ, რომლებიც შესაბამისი თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

სპეციალური თასი გადაეცა საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელს, კობა კიკაჩეიშვილს.

"სამტრედიის მაცნე" ულოცავს კობა კიკაჩეიშვილსა და მის რჩეულს, დალი სიჭინავას, გაბედნიერებას, შვილთა სიმრავლესა და მარადიულ სიყვარულს ვუსურვებთ მათ, სამტრედიელი სპორტსმენებისაგან კი, კვლავ ახალ მიღწევებს ველით მომავალი ასპარეზობებიდან.

*ლუკა გაბაჩავა*

# ტურნირები ძიუდოში საუკეთესოს გამოსავლენად

რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში სამტრედიელი ძიუდოისტებისთვის წარმატებული გამოდგა. 9-10 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლეში საქართველოს მასშტაბით საუკეთესოს გამოსავლენად. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. აღნიშნული შეჯიბრი 2004-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ჩატარდა, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სამტრედიის კლუბ "ფალავანის" აღსაზრდელები (დირექტორი ირაკლი მელაშვილი). შეჯიბრი ჩატარდა პირადი პირველობით. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა 14 წლის გიორგი ჩხარტიშვილმა, მძიმე წონით კატეგორიაში პირველ ადგილს ასევე, 14 წლის გიორგი ხუჭუა დაეუფლა. მესამე ადგილზე გავიდა 13 წლის ჯონი თარგამაძე. 12 წლის თამაზ დიდიძე მესამე ადგილს დასჯერდა.

სამტრედიელმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც დაიწყო 10 ნოემბერს და 19 ნოემბერს დასრულდა. შეჯიბრი საერთაშორისო დონის გახლდათ და მასში საქართველოს ძიუდოისტებთან ერთად უცხო ქვეყნის სპორტსმენებიც იყვნენ ჩართულები. კონკრეტულად, აზერბაიჯანელი, სომეხი და ბერძენი ძიუდოისტები.

სამტრედიის გუნდი აქაც სრული შემადგენლობით წარსდგა. ტურნირის მასშტაბიდან გამომდინარე 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მოპოვება მხოლოდ გიორგი ჩხარტიშვილმა შეძლო. მან 4 შეხვედრა სუფთა გამარჯვებით მოიპოვა, გიორგი ჩხარტიშვილმა მხოლოდ ფინალურ ბლოგში ქარელელ მაისურაძესთან დამატებით დროში დათმო შეხვედრა.

რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირებზე სამტრედიელ ძიუდოისტთა ასპარეზობას "სამტრედიის მაცნესთან" შეფასება მისცა ჭიდაობა ძიუდოს უფროსმა მწვრთნელ-მასწავლებელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ავთანდილ თარგამაძემ: "2004-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის სამტრედიას შესანიშნავი სპორტული თაობა ჰყავს, რასაც ისინი კონკრეტულ შეჯიბრებებში ამტკიცებენ კიდეც. ასე მოხდა ახლაც, წყალტუბოსა და თბილისში გამართულ ტურნირებზე. ჩვენს ბიჭებს შეხვდათ ძლიერი მოწინააღმედეგეები მხოლოდ პროფესიონალიზმის ხარჯზე შეძლეს მათი დამარცხება. სპორტსმენთა ასეთი ღირსეული გამოსვლა იმითაა განპირობებული, რომ მათთან კვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ. კერძოდ, ახალგაზრდა, ენერგიული, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ბესარიონ შვანგირაძე. რაც შეეხება უფროსი ასაკის თაობას, დაგეგმილია შეჯიბრებები იაპონიაში, რუსეთსა და უკრაინაში. ამ ტურნირებში უშანგი მარგიანი და გიორგი ბაქრაძე მიიღებენ მონაწილეობას. იმედს გამოვთქვამ, ბიჭები აქაც იტყვიან თავის ღირსეულ სათქმელს".

*ნინო ანანიაშვილი*

# ირაკლი ჯოჯუას ხსოვნას მიეძღვნა

10 ნოემბერს დაბა კულაშის საჭიდაო დარბაზში ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, რომელშიც 2004-2006 და 2007-2008 წლებში დაბადებული 9 მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქუთაისიდან სამი გუნდი, ხონიდან კი ორი გუნდი იყო წარმოდგენილი, ბაღდათიდან ასევე, 2 გუნდი. 10 ნოემბერს დაბა კულაშში იჭიდავეს ვანელებმა, ლანჩხუთელებმა, ჩოხატაურლებმა, თერჯოლელებმა, ქარელელებმა, რაღა თქმა უნდა, სამტრედიელებმა. წარმატებული თანამემამულის ხსოვნის ტურნირზე 50-მდე ადგილობრივმა სპორტსმენმა იასპარეზა. ორგანიზატორებმა სულ 158 მონაწილე დააფიქსირეს.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში 15 წონით კატეგორიაში ჩატარდა. აქედან პირველი ადგილი 7-მა სამტრედიელმა მოჭიდავემ დაიკავა. გუნდური პირველი ადგილიც სამტრედიას ხვდა წილად.

ტურნირს მსაჯობდნენ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები, გია გაფრინდაშვილი, გიორგი სიხარულიძე და კოტე გურგენიძე.

ირაკლი ჯოჯუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მე-3 წელია, რაც ტრადიციულად იმართება იმ სპორტულ დარბაზში, სადაც აწ გარდაცვლილი სამტრედიელი, წარმატებული ახალგაზრდა მოჭიდავე ასპარეზობდა. ირაკლი ჯოჯუა 20 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. ტურნირის ორგანიზატორები არიან ირაკლი ჯოჯუას სპორტსმენი მეგობრები და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, ღონისძიების ბოლოს გამარჯვებული მოჭიდავეები შესაბამისი მედლებით, დიპლომებითა და თასებით სწორედ მათ დააჯილდოვეს. ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

*ნინო ანანიაშვილი*

# სამტრედიელმა ხელბურთელებმა უკრაინელებს სძლიეს

17 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და უკვე მეჩვიდმეტედ ჩატარდა სამტრედიაში საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახელობის თასზე. წელს იგი 11 ნოემბერს დაიწყო. საფინალო შეხვედრა კი 14 ნოემბერს გაიმართა. მონაწილე გუნდები სამტრედიასთან ერთად წყალტუბოს, ქუთაისს, გორს, ბათუმსა და უკრაინას წარმოადგენდნენ. ისინი 2002-2003 წლებში დაბადებული მოთამაშეებით გახლდნენ დაკომპლექტებული.

უკრაინული ''ელიტოპოლი'', ბოლო ოთხი წელია, აქტიურად სტუმრობს სამტრედიას ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. წელს იგი დაძაბულ ორთაბრძოლაში დამარცხდა სამტრედიის გუნდთან ანგარიშით 31: 29!

ფინალურ შეხვედრაზე სამტრედიას ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე და ვიცე-პრეზიდენტი იმედო ფხაკაძე სტუმრობდნენ.

მერიის ფინანსური მხარდაჭერით გამართული ეს ტურნირი განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გახლდათ ორგანიზებული. მას მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მისი მოადგილე დავით ბახტაძე და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე ესწრებოდნენ. მიიღეს კიდეც მონაწილეობა დაჯილდოვებაში და ფასიანი საჩუქრები გადასცეს გამარჯვებულებსა და სხვადასხვა ნომინაციის მფლობელებს. საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები.

სტუმრებს ხელბურთელთა კლუბის ხელმძღვანელი გოგი ხელისუფალი მასპინძლობდა.

ტრადიცია წელსაც არ დარღვეულა და ისე როგორც გასულ წლებში, გამარჯვებულს პრიზი ვახტანგ ხელისუფალის მოსახელე და მოგვარემ, მისმა შვილიშვილმა ვახტანგ ხელისუფალმა გადასცა.

*თეა გაბუნავილი*

# გალვივებული მარცვალი

***ამჯერად ბოტანიკა და აგრარული სექტორი არაფერ შუაშია. საუბარი იმ კეთილი მარცვლის გაღვივებაზე გვაქვს, მთელი ქვეყანა რომ მოიცვა და...***

***დღეს წარმოუდგენელია ქალაქი, მუნიციპალიტეტი, დაბა, სოფელი... საბავშვო ბაგა-ბაღების გარეშე. ხელისუფლება ყოველწუთიერ ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებას ცეროდენა გოგო-ბიჭებისთვის ნორმალური პირობების შექმნის საქმეს. მაგრამ ბევრმა შეიძლება არაფერი იცოდეს, ვინ იდგა საქართველოში პირველი საბავშვო ბაღის დაარსების სათავეებთან.***

საქართველოს ისტორიის მცოდნეთათვის კარგადაა ცნობილი მრავალმხრივი მოღვაწის, მიხეილ გედევანიშვილის, გვარ-სახელი. იგი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ქართველმა ერმა თბილისის გუბერნიიდან რუსეთის დუმაში აირჩია. ბატონმა გედევანიშვილმა საკუთარი სახსრებით საფრანგეთში შეიძინა და საქართველოში ჩამოიტანა რენტგენის აპარატი, რომელიც მაშინ არათუ საქართველოში, რუსეთის მთელ იმპერიაშიც სიახლეს წარმოადგენდა.

ბატონ მიხეილს უაღრესად განათლებული მეუღლე ჰყავდა.

ქალბატონი ანასტასია გედევანიშვილი ილია ჭავჭავაძესთან და მის თანამოაზრეებთან აქტიურად თანამშრომლობდა.

სწორედ ქალბატონი ანასტასიას ძალისხმევით, მათი სახლის პირველ სართულზე, 1908 წელს (110 წლის წინ) გაიხსნა საქართველოს სინამდვილეში პირველი საბავშვო ბაღი. ხელმოკლე ოჯახების შვილებს კეთილი ცოლ-ქმარი მიხეილი და ანასტასია საკუთარი სახსრებით აფინანსებდნენ.

მიუხედავად იმდროინდელი ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობისა, კეთილი საქმისთვის გულანთებულ ქალბატონს განზრახვაზე ხელი ვერავინ ააღებინა.

ანასტასიამ ლამაზი ყვავილებით მორთო ეზო, შესაფერი მხიარული, ლამაზი გარემო შექმნა და პირველი ბაღიც გაიხსნა.

აუცილებლია აღინიშნოს, რომ მას ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაში მხარში ედგნენ ჩვენი ერის სასიქადულო შვილები აკაკი წერეთელი და გენიალური იაკობ გოგებაშვილი.

დიახ, კეთილად, უხვად გაღვივდა 110 წლის წინანდელი მარცვალი სიკეთისა. დღეს ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერში სოკოებივით მომრავლებული საბავშვო ბაღები ოჯახებისათვის შვებას წარმოადგენენ, პატარები კი, რომლებიც იქ იზრდებიან, ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავალნი, მესაჭენი არიან, რომელთაც, დიახაც რომ, სჭირდებათ გაუნელებელი მზრუნველობა, სითბო, ალერსი...

110 წელი შესრულდა საქართველოში პირველი საბავშვო ბაღის დაარსებიდან.

რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს, სამტრედიაში პირველი საბავშვო ბაღი 1922 წელს გახსნილა, იგი ამჟამად ქალაქში, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარეობს.

*ლევან გაბეჩავა*

# მეოხ გვეყავ წმინდანო!

არაბთა წინააღმდეგ აჯანყება აჯანყებას მისდევდა.

852 წელს ხალიფა მუთავაქილმა ამიერკავკასიაში 30 000-იანი არმია გამოგზავნა. მთლიანად გადაწვეს თბილისი სარკინოზებმა, 50 000 თბილისელი დაიღუპა მაშინ. საქართველოს სატახტო ქალაქს ეს ტრაგედია თავს 853 წელს დაატყდა.

აფხაზთა მეფე თეოდოსის შეავვიანდა მოშველებოდა თბილისს.

...

გამძვინვარებული ბუღა თურქი კახეთს შეესია, გაძარცვა სოფლები, ტყვეები მრავლად წაიყვანა. ტყვეთა შორის იყო მეტად პატივდებული ერისთავი კონსტანტი კახი, უკვე 85 წლის მოხუცი და მისი ვაჟიშვილი თარხუჯ(ი). ხალიფას გაუგზავნეს ორთავენი. ქრისტეს რჯულის უარყოფა, მაჰმადის აღიარება მოსთხოვეს კახს, რაზედაც ცივი, მტკიცე უარი მიიღო. განრისხებულმა მტარვალმა მოხუცი საპყრობილეში ჩასვა და გამაჰმადიანებული სომხები მიუჩინა ''მოსალაპარაკებლად''. ვერაფერმა გასჭრა, ვერც მოლაპარაკებამ, ვერც ცემამ და წამებამ.

853 წლის 10 ნოემბერს (ახალი სტილით 23 ნოემბერს), პარასკევ დღეს, ხალიფას ბრძანებით კონსტანტი ქართველსა და მის ვაჟს თავები გააგდებინეს.

წმინდა მოწამეთა დასში ირიცხება მოწამეობრივად აღსრულებული კონსტანტი კახი.

*ლევან გაბეჩავა*

# ის გმირი იყო...

ულამაზეს და უძველს სოფელ ტოლებში დაიბადა. საშუალო სკოლა და ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. პირდაპირობით, ობიექტურობითა და კაი კაცობით სცნობდნენ ბატონ ტარიელ კოპალეიშვილს. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია თანამდებობრივ იერარქიულ საფეხურებზე მისი წინსვლა. სიცოცხლის ბოლომდე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა.



როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ვითარება დაიძაბა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების გამო, აშკარად საფრთხე შეექმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, იგი ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ბატონი ტარიელი ერთ-ერთი პირველი იყო, სამტრედიელ სევერიანე თევზაძესთან ერთად გმირულად რომ დაეცა მათებრ გულანთებულ მამულიშვილთან ერთად.

გლოვობდა მშობლიური სამტრედია ღირსეულ შვილებს, ტარიელ კოპალეიშვილსა და სევერიანე თევზაძეს. სკოლებში, საწარმოებში პატივგების საღამოები იმართებოდა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა სამაჩაბლოს მოვლენებიდან, თუმცა, მადლიერ სამტრედიელებს ახსოვთ თავიანთი ღირსეული შვილი, რომლის ნათელმოსილ გზას ბრწყინვალედ აგრძელებენ შვილები და შვილიშვილები.

70 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ბატონი ტარიელი, ციცქნა მოგონებაც ამის გამო დაიწერა.

არ ივიწყებენ გმირებს ჩვენში.

*ლევან გაბეჩავა*

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ კორნელი ჩიხლაძეს დის ქალბატონ

**თამარ ჩიხლაძე-უგულავას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს მაკა უგულავასა და ლაშა ორმოცაძეს ბებიის

**თამარ ჩიხლაძე-უგულავას**

გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია თანაუგრძნობს შალვა არზუმანიანს

**სიდელრის**

გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია თანაუგრძნობს პაატა კოხრეიძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს პაატა კოხრეიძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს შალვა არზუმანიანს

**სიდელრის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ლალი ჯულაყიძეს, შოთა და ლაშა ლორიებს

**აპოლონ (შუტა) ლორიას**

გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაუგრძნობს ლალი ჯულაყიძეს, შოთა და ლაშა ლორიებს

**აპოლონ (შუტა) ლორიას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი

**მერაბ კაკაბაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მიხეილ ნიკოლეიშვილი და ლევან გაბეჩავა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერაბ კაკაბაძე**

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

## ჯეკ სენტ-კლერ კილბი

ჯეკ სენტ-კლერ კილბი დაიბადა 1923 წლის 8 ნოემბერს, მისურის შტატის ქალაქ ჯეფერსონ-სიტიში (ამერიკა). იგი წარმოადგენდა დიდ ამერიკელ მეცნიერს, ფიზიკოსსა და გამომგონებელს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ინტეგრალური სქემის (მიკრო-სქემა, მიკრო-ჩიპის), ჯიბის კალკულატორისა და პრინტერის გამოგონება. 2000 წელს კილბის მიენიჭა "ნობელის პრემია" ფიზიკის დარგში, ინტეგრალური სქემის გამოგონებისათვის. სწავლა დაიწყო კანზასის შტატის ქალაქ გრეინთ-ბენდის _ Great Bend Higt School -ში, ხოლო სკოლის დასრულების შემდგომ ჩაირიცხა ილიონისის ცნობილ უნივერსიტეტში, სადაც გამოვლენილი ბრწყინვალე განათლებისათვის მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი, 1947 წელს კი იგი ხდება ვესონ-მილუოკის უნივერსიტეტის "მაგისტრი" და ამ დროს პარალელურად მუშაობდა მილუოკში მდებარე კომპანია Central-ში. 1958-1983 წლებში მუშაობდა ტეხასის შტატის ქალაქ დალასში მდებარე "კომპანია _ Texas instruments-ში და ამ პერიოდს ემთხვევა მისი პირველი გამოგონება "ინტეგრალური სქემის", იგივე ჩიპის. 1978-1985 წლებში,კილბი _ ტეხასის სოფლის მეურნეობისა და მანქანათმშენებლობის უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ. 1967 წელს კი მან გამოიგონა "პრინტერი" და ამავე წელს ხდება _ ამერიკის ეროვნული საინჟინრო აკადემიის სრულფასოვანი წევრი. ორ წელიწადში (1969 წელს) იგი დაჯილდოვებულ იქნა ამერიკის ეროვნული სამედიცინო აკადემიის მედალით. 1993 წელს კი მიენიჭა მედალი _ "პიონერი კომპიუტერული ტექნიკისათვის". ჯეკ სენტ-კლერ კილბი გარდაიცვალა 2005 წლის 20 ივნისს, ტეხასის ქალაქ დალასში. მისმა გამოგონებებმა კი უდიდესი როლი ითამაშა კომპიუტერული ტექნიკის განვითარება-დახვეწაში, რამაც კილბი ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკელ მეცნიერ-გამომგონებლად აქცია.



**Genia.Ge**

## "პრუასანის" წარმოშობის ისტორიიდან

ნახევარმთვარის ფორმის მქონე ერთ-ერთ უგემრიელეს საკონდიტრო პროდუქტს _ "კრუასანს", არა მხოლოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, არამედ მის შესახებ ლეგენდაც კი არის გავრცელებული. როგორც ირწმუნებიან, ნახევარმთვარის ფორმის მქონე ფუნთუშები პირველად XIII საუკუნეში გამოჩნდა ავსტრიაში. თუმცა ისინი კრუასანისაგან განსხვავებით, აბსოლუტურად სხვა ინგრედიენტებით მზადდებოდა. ისტორიული წყაროების ცნობით, პირველი კრუასანი 1770 წელს იქნა დამზადებული საფრანგეთში და მისი დამზადება დაკავშირებულია საფრანგეთის დედოფალ მარია ანტუანეტთან, რომელიც, თავის მხრივ, ტრადიციული ფრანგული სუფრის დიდი მოყვარული გახლდათ.

თუმცა, პირველი კრუასანის დამზადება ასევე დაკავშირებულია ერთ ლეგენდასთანაც. ლეგენდის თანახმად, 1683 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მცხოვრებმა ფუნთუშების მცხობელმა _ პიტერ ვენდლერმა, პირველი კრუასანი ოსმალეთის იმპერიის არმიის მიერ ვენის წარუმატებლად დასრულებულ ალყას მიუძღვნა. ერთ-ერთი ვერსიით, მაშინ, როდესაც ოსმალთა ჯარებს ავსტრიის დედაქალაქი ალყაში ჰყავდათ მოქცეული, ღამით ქალაქის საცხობებში მომუშავე მეფუნთუშეებმა მიწის ქვემოდან წერაქვის დარტყმის ხმები გაიგონეს. მათ უმალვე გაიაზრეს, რომ ოსმალები ქალაქში შეღწევას მიწისქვეშ გაყვანილი გვირაბით ცდილობდნენ და ამის შესახებ ქალაქის ხელმძღვანელობას აუწყეს. შესაბამისად, ოსმალების გეგმა ვერ განახორციელდა და საბოლოო ჯამში ვენას ალყაც მოეხსნა. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად დაამზადა პიტერ ვენდლერმა პირველი კრუასანი და რადგანაც კრუასანი ქრისტიანთა მუსლიმების დამარცხებასთან გასიმბოლირდა, მუსლიმმა ფუნდამენტალისტებმა სხვადასხვა მუსლიმანურ ქვეყნებში კონდიტერებს კატეგორიულად აუკრძალეს ნახევარმთვარის ფორმის მქონე უგემრიელესი კრუასანების დამზადება-გაყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ კრუასანს ავსტრიული წარმომავლობის ფესვები აქვს, იგი დღემდე მაინც ფრანგულ კულინარიულ პროდუქტად განიხილება.

**Genia.Ge**

## გილოცავთ!

### ლევან გაბეჩავას!

ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი იუბილარია! ჩვენო ლევან! წლების განმავლობაში შენი კალამი სიმართლის სამსახურში დაშვრა, კომპეტენციით, გამოცდილებითა და ღირსებით "სამტრედიის მაცნეს" ღვაწლმოსილ კალმოსანთა არმიას ამშვენებ! ბევრს აღუნიშნავს, რა უბადლოდ შეგიძლია, მახვილსიტყვაობით და ანალიტიკური მსჯელობით მონუსხო აუდიტორია. ცალკე თემა შენი დახვეწილი იუმორია! კიდევ მრავალი წელი ყოფილიყავი საყვარელი გაზეთის სამსახურში! პროფესიულ წარმატებებს და ოჯახურ ბედნიერებას გისურვებთ!

*"სამტრედიის მაცნე"*

## გილოცავთ!

### ზუკა სტურუას!

დაბადების დღეს გილოცავთ ზუკა! ბედნიერდიმილიანი გვეყოლე მუდამ, ჯანმრთელობა და სიყვარული დაგებედოს!

უნდა გვასახელო შენი ოჯახი და ახლობლები!

*ანანე*

## მაღლობა

მინდა უდიდესი მადლობა მოვახსენო "ჯეოჰოსპიტალსის" მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ექიმ-ტრავმატოლოგ, ჩვენს შესანიშნავ თანაქალაქელს, ედგარ სიმონიანს, ჩემზე გაწეული უდიდესი მზრუნველობისა და უანგარო დახმარებისათვის. როცა საავადმყოფოში მისვლა არ შემეძლო ყავარჯენს დაყრდნობილს, იგი თავად მაკითხავდა ბინაზე და სავსებით უანგაროდ მემსახურებოდა. მისმა საქციელმა სულკურთხეული ექიმი ვახტანგ დუნდუა გამახსენა, რომელიც ასევე უანგაროდ ემსახურა მრავალი წელი პაციენტებს. დიდი პოეტის ცნობილი ლექსის სტროფისა არ იყოს, "აი ასეთი მწამს" ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული! მინდა, კარიერული წინსვლა და წარმატებები ვუსურვო ამ შესანიშნავ ახალგაზრდას.

*პენსიონერ კაშია, შინაგან საქმეთა სამინისტროს "სამტრედიის ეტერნების" ოსპიტალიდან*

## ფოტო განწყობისთვის


**რედაქციის მისამართი:**
**სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6**
**ტელ: 790 391839**

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა